h 641

1 დეკემბერი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 8 კაპ. ჩერვონც.

№ 2 გაზ. „კომუნისტი“-ს ლიტერატურულ-სამხატვრო ორკვირეული დამატება № 2

# სანდრო ყაზბეგი

გარდაცვალებიდან 30 წლის თავზე

(1893—1923)

„მარის წვიმავ, წამოდი,
გული სევდისგან გაბ.ნე!
ნიავო, წყნ.რათ დაჰქროლე,
ფოთოლთ ტაშ დააკვრევინე!
სწორი არ გამტანს, უფილო,
ცხკირი სადმ წააკვრევინე“.

ალ. ყაზბეგი.



ქართულ მხატვრულ მწერლობაში დიდათ საპატიო ადგილი უკავია სანდრო ყაზბეგს, როგორც ბელეტრისტს. არა მარტო მწერლობით, არამედ თავისი პირადი ცხოვრებითაც იგი მეტათ საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს.

ჩვენი მთის უდიდესი ფეოდალის და ღენერლის შვილი, მოსკოვის მაღალ საზოგადოების წრეებში მხიარულ „დროს ტარების“ შემდეგ „ცხვრის მწყემსათ“ ევლინება საქართველოს მთიულეთს. ვიდრე მწყესობას შეუდგება, იგი თეთრი მასრებით თეთრ ჩოხაში გამოწყობილი, წელზე ხანჯლით თეთრ ბედაურზე მჯდომი საქართველოს სამხედრო გზაზე დარიალის კარიდან სტეფანწმინდამდე მიჰქრის და მოჰქრის, თითქო დავალებული ერთგული გუშაგია საქართველოს ბედის მცველი ციხესიმაგრისა. ამ გზაზე მას თითქო მტრის თვალის ასახვევათ გაულია საწვრილმანო დუქანი, შიგ ვინმე „სტებკო“ დახლიდრათ დაუყენებია და თვითონ კი ვითომდა „ვაჭარი“ თეთრი რაშით მიჰქრის და მოჰქრის მშვენიერ მთების წიაღში.

მაგრამ ცხოვრების ეკონომიურ-სოციალური პირობები ულმობელია არა თუ პიროვნებას ან ვინც უნდა იყოს ის, არამედ მთელ წოდებას და კლასს, მთელ ერს ან გასტეხს ან გარდაჰქმნის ხოლმე.

სამოცდაათიან წლებში საქართველოს ეკონომიურ-პოლიტიკური პირობების შეცვლის თანახმათ სანდრო ყაზბეგიც უნდა გადაქმნილიყო.

სანდროს ორში ერთი უნდა აერჩია: ან ძველი ფეოდალური ცხოვრების აღდგენა—გამაგრება და ძველი მამაპაპეული „მამულის“ სამსახური, ან და ბურჟუაზიული ცხოვრების აღორძინება და ამ ცხოვრების მესვეურობა.

სანდრო ყაზბეგმა პირველ ხანებში ერთიც სცადა და მეორეც: ის საკუთარი „მამულის“ მოვლა-პატრონობასაც შეუდგა და ახალგაზდა თავადის უდარდელ ცხოვრებასაც ატარებდა და იმავე დროს კაპიტალის პირვანდელ დაგროვების პროცესში მონაწილეობაც, ვაჭრობა-ექსპლოატაციაც მოინდომა.

მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ იგი ვერც პირველს ეწყობა და ვერც მეორეს; აღმოჩნდა, რომ სანდროში ისეთი ძალები დაგროვებულა, რომ ისინი სულ სხვა სახით და ფორმით ეძებენ გამოსავალს.

და აი ის კიდეც ჰგმობს, როგორც ფეოდალიზმს ისე კაპიტალიზმსაც და მათთში ქურქს „ცხვრის მწყემსის“ „ტყაპუჭზე“ სცვლის: ის ტოვებს თავის ფეოდალურ მამაპაპეულ, თავადურ ბუდეს და ჰქდის „ცხვრის მწყემსათ“.

ამით მან გამოაშკარავა, რომ ის, თუმცა გაბატონებული კლასის განებივრებული შვილია, მაინც თავისი პირადი ცხოვრებით და მოქმედებით ამ კლასებს არასოდეს არ ემსახურება.

მარტო ამითაც, თუნდაც სხვა არაფერი გაეკეთებია ყაზბეგს, შეიძლება ის არაჩვეულებრივ პიროვნებათ ჩაითვალოს.

მარა, ცხადია, იმისთვის, რომ პიროვნებამ ისტორიული ადგილი დაიკავოს, „არაჩვეულებრივობა“ და ძველი გაბატონებული კლასებისგან განდგომა არ კმარა; ამისთვის საჭიროა მან თავსაჩინო რამ და მნიშვნელოვანი მისცეს იმ ამომავალ კლასს, რომელიც ფეოდალიზმსაც და კაპიტალიზმსაც ერთნაირათ ჰგმობს და ცხოვრების ახალ საფუძვლებს ჰქმნის, იმ საფუძვლებს, რომლებზედაც ქვეყანათ „სიმართლის და კაცთა ბედნიერების“ სასახლე შენდება.

სანდრო ყაზბეგი ერთი იმ ისტორიულ პიროვნებათაგანია, რომელიც რომელ კლასსაც არ უნდა ეკუთნოდეს შთამომავლობით, მაინც „სიმართლის და კაცთა საერთო ბედნიერების“ დამცველია.

მაგრამ რით და რა პირობებში შეიძლება ეს „სიმართლე“ დაცულ იქნას და „კაცთა საერთო ბედნიერება“ დამყარდეს?

სანდრო ყაზბეგსაც ისე, როგორც რუსეთის დიდ მხატვარ-მწერალს, ლევ ტოლსტოის, ეგონა, რომ ამას იგი პირადი სიწმინდის, განსპე ტაკების, „ზნეობით“ ამაღლების მაგალითის ჩვენებით და საზოგადო ცხოვრების განშორებით, განდგომით „მარტვილობით“ შესძლებდა.

მაგრამ საბედნიეროთ სანდრო ყაზბეგში გარდა ამ ზნეობრივი, მორალური ძალისა ისე, როგორც ლევ ტოლსტოიში სხვა დიდი ძალაც იყო: ეს არის დიდი მხატვრის, დიდი ხელოვანის ძალა და აი ეს ძალა მას არ ასვენებს მას მეცხვარის „ტყაპუჭში“ და მიჰყავს იგი იქ, სადაც მომავლის კულტურა იჭედება: მიჰყავს ის დიდ თანამედროვე ქალაქში და მეცხვარის კომბალის ნაცვლათ მას ხელთ აძლევს სამწერლო კალამს.

სანდროც პოეტური აღტაცებით...

P-7604

მთელი თავისი მხატვრული ძალღონით მაღალ კულტურულ ცხოვრებას ეწაფება: ის არის მსახიობი, არის მოცეკვავე, არის დრამატურგი, პიესების მთარგმნელი, ბოლოს ხდება **ბელეტრისტი და რომანისტი.**

ეს უკანასკნელი სფერო, ასპარეზი, დარგი ხელოვნებისა აღმოჩნდა მისთვის ბუნებრივი და შესაფერი სტიქია: ბოლოს მან, დიდი რყევისა და ჰაპანწყვეტის შემდეგ, მიაგნო თავის ნამდვილ მოწოდებას და კიდეც შეუდგა ხელალებით მის სამსახურს. როგორც მომსწრენი, მისი თანამედროვენი მოწმობენ იგი რედაქციის სამწერლო მაგიდას არ მოშორდებოდა თურმე, ვიდრე გაზ. „დროებისთვის“ ერთ დიდ ფელეტონს თავის რომანიდან არ დაათავებდა· მისთვის ამ დროს სხვა ინტერესი და მოთხოვნილება არ არსებობდა. ამ ხანებში მიახწია მის შემოქმედების პროცესმა უმაღლესს და უმშვენიერეს მწვერვალს და შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრით მას ჩვენს მწერლობაში ცალი არა ჰყავს.

მაგრამ ეს დრო არის მთელი ქართული ცხოვრების ულელტეხილიც, რომლის იქეთ ძველი ფეოდალურ-ბურჟუაზიული ცხოვრება ისადგურებს, ხოლო აქეთ იწყება ახალი „საზოგადოებრივი მოძრაობა“, რომელიც მალე ჩვენებურ—მუშათა მოძრაობათ იქცა.

სანდრო ყაზბეგი იმ დროს, ვით მყინვარყაზბეგი, რომელიც კავკასიონის ქედზე ისტორიულ დარიალის ხეობას თავს იმედ გაუტეხელ დარაჯით დაჰყურებს, ჩვენი ცხოვრების ამ ისტორიულ ულელტეხილზე ბუმბერაზივით დადგა და მის მაჯის ცემას ყური დაუგდო:

მან მთის არწივის თვალის სისწრაფით, მაღალ სფეროდან მხატვრული თვალით, გადახედა ქართველი ხალხის მთელ წარსულ და აწმყო ცხოვრებას და ნათლად დაინახა, რომ ამ ისტორიულ ულელტეხილს არც იქეთ და არც აქეთ „სიმართლე, ძმობა-ერთობა, სწორის გამტანობა“ აღარა სჩანს. მისმა არწივისებურმა მხედველობამ შეამჩნია, რომ ყოველივე ეს „სიკეთე კაცისა“ ისევ ყველასგან მიტოვებულ მთების ორწოხებში ჩარჩენილა: **ესაა პატიოსანი სწორ-გამტანობა და თემური წყობილება.** ამიტომ მთელი თავისი ძლიერი კაცობრიული სიყვარული, ძლიერი შემოქმედება მან ამ მთის ხეობების და მთიელთა თემური წყობილების გამოსახვაზე გადაიტანა.

იმ დროს ჩვენში ამომავალი კლასი, მუშათა კლასი ისე მცირე და სუსტი იყო, იმდენათ ჩანასახის მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ ეს, ცხადია, მთის არწივისებური მხედველობას გამჭრიახობისათვისაც შეუმჩნეველი რჩებოდა. ეს იყო მეცხრამეტე საუკუნის მეოთხმოცე წლები.

ეს იყო უსასტიკესი თვითმპყრობელობის რეაქციის გამარჯვების ხანა რუსეთში და რა გასაკვირია, თუ ჩვენში ამ დროს სოციალისტური აზროვნება შეუმჩნეველი და უჩინარი იყო.

სანდრო ყაზბეგი თავისი შეგრძნობითა და შემეცნებით მოწამე იყო მხოლოთ ორი კულტურის ისტორიულ მძლავრ შეტაკებისა: ერთი მხრით თემური წყობილების, ხოლო მეორე მხრით მეფის სასტიკი ბიუროკრატიული თვითმპყრობელობის; და მას ახლა ამ ორ წყობილების შორის ერთ-ერთი უნდა მიეღო. ის არ იცნობდა და ვერც ხედავდა მათ შორის გარდამავალ საფეხურებს, მით უფრო ვერ სჭვრეტდა მომავალ წყობილების კონტურას და არ ესმოდა მომავალი მებრძოლი კლასის საბედისწერო გადამწყვეტი ყიჟინა. ამიტომ მან ირჩია თემური წყობილება, ვინაიდან მან თავისი განყენებული მაღალ ეთიური და სოციალური იდეალების „ძმობა ერთობის, თანასწორობის, თავისუფლების და „სწორ-გამტანობის“—განსახიერება ამ წყობილაბაში ჰპოვა. **მას არ შეეძლო** გაეთვალისწინებია, რომ ამ „აუცილებელ ბოროტების“—მეფის თვითმპყრობელობის—შემდეგ დადგება ახალი ხანა, ხანა მუშათა დიქტატურისა, რომელიც შეჰქმნის თემობის მსგავს ან **ახ ლ კომუნას** სადაც ძალადობას პიროვნებაზე ადგილი არ ექნება, სადაც თავისუფლება და თანასწორობა სიყვარულისა, სოლიდარობისა და მეგობრობის „ნეტარების ტახტს“ დაიდგამს!

სანდრო ყაზბეგი, შინაგანი მიდრეკილებით სოციალისტი და რევოლიუციონერი, მოკვდა მხოლოთ ბელლეტრისტათ და თემიურ წყობილების მადმერთებლათ. ამნაირათ მის მაგალითზედაც გამართლდა მარქსისტული ძირითადი დებულება: „ყოფა-ცხოვრება შეიქმნს შეგნებას“. მისმა პირადმა და მისი წრის სოციალურმა ყოფა-ცხოვრებამ საზღვარი დაუდო მის შეგნებას და თემური წყობილების იქით გასაქანი არ მისცა.

მაგრამ მან თავისი მაღალ მხატვრული ნიჭით და შემოქმედებით მაინც შესძლო და სამსახური გაუწია ქართველ მუშათა კლასს, რომელიც ისტორიით მოწოდებულია ჩვენს მხარეში სისხლ—ხორცი შეასხას საკაცობრიო იდეალებს, რომელსაც დღეს მსოფლიო პროლეტარული რევოლიუცია გზას უკაფავს.

ამ იდეალებს ეტრფოდა, რასაკვირველია, თავისებურათ. სანდრო ყაზბეგი, როცა ის „ცხორში მწყემსათ იყო და ამ თავისებურ გაგებას გვიხატავდა იგი, როცა გაზ. „დროების“ სარედაქციო კაბინეტში იჯდა და თავის მხატვრულ რომანეას—„ელგუჯას“ „ხევის ბერს“, „მოძღვარს“ და სხვებს სწერდა.

ამ რომანების კითხვით გაიმსჭვალა ჩვენში მრავალი მუშა და ახალგაზრდა იმ უანგარო თავგანწირვის და მაღალი სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობებით, რომლებიც ჰქმნიან ნამდვილ რევოლიუციონერს.

კოლექტივისთვის **თავგანწირვა,** აი რა უდევს საფუძვლათ რევოლიუციურ აქტივობას და ეს ასწავლა, ეს ჩაუნერგა სანდრო ყაზბეგმა ქართველ მკითხველს თავისი უმშვენიერესი და წარმტაცი რომანებით.

ამით მისი მხატვრობა, მისი შემოქმედება, მისი ბელეტრისტიკა სანდრო ყაზბეგს რევოლიუციონური ბრძოლის მონაწილეთ ხდის. ამ აზრით იგი ჩვენი თანამებრძოლია და ამისთვის გვიყვარს მისი მხატვრობა, მისი შემოქმედება, მისი სახეები და მისი გმირები; ამიტომ არის სანდრო ყაზბეგი ჩვენთვის, ამ ოცდა ათი წლის შემდეგაც, პატივსაცემი და საყვარელი ქართველი ბელეტრისტი.

**რაჟდენ კალაძე.**

# ლ ე ნ ი ნ ი*)

...შეხვალთ თქვენ რომელიმე სასწავლებელში თუ ქარხანაში, ან და ბავშთა თავშესაფარში, გაივლით სადგურზე სადმე თუ ეწვევით რომელიმე საავადმყოფოს—სადაც უნდა იყვეთ, ყველგან ერთი რამ გიდგათ თვალწინ აშკარად, ერთი რამ გიზიდავთ, ერთი რამ ნთქავს თქვენ ყურადღებას და ეს არის ერთი სახე რომელიც სრულიად არ არის ჩაკეტილი რაიმე ჩარჩოში. იგი თავისუფლად უერთდება სივრცის სილაღეს, უსაზღვროებას. და ეს ადამიანი თითქოს გადაწყვეტით მოიმართება თქვენსკენ.

ჩვენ ვხედავთ მის თავს, რომელზედაც გადაშლილა იუპიტერის საკადრისი შუბლი, მის ღიმილში თითქოს ჩაქსოვილია რაღაც სევდა. აზიური მაგარი საფეთქლები და დანის პირივით ჩაწურული თვალები, რომელთა შემოხედვაც არ მოეპოვება ბადალი სადმე. თითქოს ველური პირი აშკარად იცქირება გადაჩეხილ ჩირგვების მსგავს ულვაშებიდან თანაც შმაგი შეხედულობა, თითქოს მზათ არის ეკვეთოს იერიშით ყოველ პირველ წინააღმდეგობას.

აი სურათი მისი.

თქვენ შეხვალთ მოსწავლის ოთახში, ან კომუნისტის ოჯახში, ან ჯარის კაცის მეუღლესთან, ერთი საათით ებაასებით თქვენ მასპინძლებს და გამოხვალთ ერთი გადაწყვეტილის შთაბეჭდილებით: რაც ბატონობდა მთელ საუბარში, რაც აძლევდა ამ საუბარს კილოს, რაც მას აჩქარებდა, რაც აღრმავებდა და თანაც ამკობდა რაღაცა ეშხით—ეს არის ის ფიგურა რომელიც კედლიდან გადმოიცქირება უშველებელ რელიეფათ. მისი გაუტეხავი და კომპასივით სწორე თვალი. მისი უშველებელი საშინელი და თანაც მფარველობის გამომხატველი სახე, რომელსაც დაჰქრის დაღვრემილობის იერი.

მიდიხართ ქუჩაში. ეს ქუჩა იქნება მოსკოვში, პეტროგრადში, კიევში, როსტოვში თუ სხვაგან—სულ ერთია. ყველა მაღაზიების ლამაზ შუშებს უკან თქვენ ჰხედავთ **მას.**

მხოლოდ მას.

იგია ყველგან. შეხვალთ მუზეუმში, გაჩნდებით გემზე თუ ბიუროში, ან რომელიმე საზოგადო დაწესებულებაში—მოულოდნელათ გზოჰავთ იმისი შეხედულება, გიპყრობთ ერთიან, მოგდევთ კვალ და კვალ და არ გშორდებათ აღარსად, აღარსად... შესდგამთ ფეხს თეატრში?—შესდექით! აჰა, იგი შესავალშივე დაგხვდებათ და მოგაგონებთ, რომ მსოფლიოში სწყდება საკითხი ყოფნა-არყოფნისა.

თუ თქვენ გინდათ მოისმინოთ რამე სიტყვა

*) ამ ნაწყვეტების ავტორია საფრანგეთის კომპარტიის წევრი, ამხ. მაგდალენა მარქსი, რომელმაც მთელი წელი დაჰყო რუსეთში და დასწერა სურათები დიდი რესპუბლიკის და მისი ბელადების ცხოვრებიდან ეს წერილები, რომლებიც იბეჭდება ოქტომბერში საფრანგეთის კომპარტიის ყოველ-დღიურ გაზეთ „ლიუმანიტე“-ში და პარტიისავე ყოველკვირეულ ჟურნალში „ბიულლეტენ კომმიუნისტ“, გამოდის პარიზში ცნობილ ფლამმარიონის გამომცემლობაში საერთო სათაურით: „ეს არის გადამწყვეტი ბრძოლა“... დღეს ჩვენ ვბეჭდავთ ერთ თავს ამ სერიიდან, რომელიც გამოქვეყნებულია ზემოხსენებულ „ბიულეტენ კომმუნისტ“-ში (№ 42).

წინდაწინვე მოემზადეთ იმ მქუხარე დასაწყისისათვის, რომელსაც გამოიწვევს ერთი მისი სახელის ხსენება. ილაპარაკებს არატორი? რა საგანზეც უნდა იმსჯელოს, ბოლოს მაინც დადგება წუთი, როცა უნდა ახსენოს **იმის** სახელი, და აქ უეცრივ იჭექებს მთელი ხალხის ტაში და ძახილი.

თუ თქვენ ეწვევით სოფელს და შეხვალთ რომელიმე ქოხში, უკვე იშვიათად შეხვდებით სადმე კუთხეში დასვენებულ ხატს. სამაგიეროთ თითქმის ყველგან შეგეგებებთ სახე ვლადიმერ ილიჩ ლენინისა, ამ ქვეყნის მფარველისა და მხსნელისა.

თუ შემთხვევით გაჩნდებით ქალთა წრეში, იმ წუთში შეამჩნევთ ერთ ბრწყინვალე სამკაულს სამოსლის გახუნებულ ნაოჭთა შორის: ნიკელის ქინძისთავზე დამაგრებულ ემალის პატარა ფირფიტიდან გამოიცქირება ლენინის სახე. უბრალო, პაწაწკინტელა მედალიონია, მაგრამ იქაც იმის ღიმილს არ ეკარგება თავის საშინელი, ბუმბერაზული სიდიადე.

გადაშალეთ წიგნი, სადაც აღწერილია მთელი მსოფლიოს მდგომარეობა, გადაფურცლეთ ჟურნალი, გადაათვალიერეთ ყოველდღიური წერილები—და თუ ვერ შეხვდებით **მის** სახელს, ტყვიისმფრქვევლივით დაცხრილეთ ყველა სტრიქონები და გარწმუნებთ, რომ რაღაც სახით უეჭველად იპოვით **მის** საკუთარ აზრს, რომელიც ამობრწყინდება ზედაპირზე, როგორც ძვირფასი თვალმარგალიტი.

რომ გაიცნოთ ლენინი—ამისთვის საჭირო სრულიად არ არის პირადათ ნახოთ იგი. იგი უხილავია და თანაც ყველგან მყოფი და გადადგამთ თუ არა ფეხს განახლებულ რუსეთში თქვენ უკვე იცნობთ ლენინს

ცხადია, იშვიათი შთაბეჭდილებას ახდენს, როცა მას ჰხედავთ თქვენ თვალწინ. სადა, თითქოს მოწყვეტილი, ყველას შემფერხებელი, თითქოს გამოურკვეველი ერი, მაგრამ ამავე დროს იგი რეკავს თქვენის ხმით, იგი ღაღადებს თქვენ გულის ნადებს, თქვენ ავ-კარგს. იგი ეძიებს და ჰპოვებს კიდეც თქვენს ბუმბულივით მსუბუქს, გამოურკვეველ ფიქრებს. ლაპარაკობს ცოტას, მაგრამ ყურს უგდებს ყველას, ყველას.

ერთ სანახაობად ისიცა ღირს, როცა იგი შემოდის დარბაზში სალაპარაკოდ.

სიჩუმე ელის ყოველგან, სიჩიმე არაჩვეულებრივი. სუნთქვა თითქოს შეწყვეტილია, გულიც აღარ სცემს. რაც კი ადამიანის არსებაში მოიპოვება კეთილშობილი ფაქიზი, რომლისთვისაც მზათ არის თავი გასწიროს, ყველაფერი ამ კედლებში მომწყვდეულა, იქ დაუფლებულა. ეს არის სიდიადით ალსავსე სიჩუმე, არც სამძიმო, არც ძალდატანებითი. იშვიათი სიჩუმე, რომელიც დარჩება სანიმუშოდ ისტორიაში. მისი ნაბიჯები უკვე მოისმის... ეს იგია, რომ მოდის?

— დიახ იგია!.

და აი, აქ იჭექებს მოულოდნელად მთელი დარბაზი. გაისმის ათასი დაფდაფის ხმა· ეს სიხარულით, აღტაცებაა, ლცთობა ტაშისცემისა. ლენინია! ეს ლენინია!

ყველა დარჩება იქ სიამოვნებით, რომ ხვალ დილამდე ტაშს უკრავდეს მას, თუნდაც არ გაიგოს მესაძლი იმისი, რაც სათქმელი ჰქონდა მას. კისრები წაგრძელებულან. თავები შორს გატყორცილან, თითქოს მოჰშორებიან მხრებს და ბეწვითა ჰკიდიან მძიმე ტანს... კიდევ დავკრათ ტაში, კიდევ! უნდა იგრძნოს **იმან**! უნდა იცოდეს **იმან**! ჰეი, შენ მეგობარო, ჩემ გვერდში მყოფო, შეგიძლიან განა გაჩუმდე კრინტი არ დასძრა?—შენ გესმის თუ არა ეს უშველებელი ქუხილი, რომლითაც ჩვენ **მას** ველაპარაკებით?

მთელი ფეხზე მდგომი კრებული გაუთიბავ, დაპურებულ ყანას წააგავს. ახალგაზრდების თვალნიც ისევე იცრემლებიან, როგორც მოხუცებისა.

**გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლიუციას!**

იმან უკვე გაიმარჯვა! ის კვალად გაიმარჯვებს! ლენინი იქვეა. ყველა გაუმაძღარად მისჩერებია მის სახეს.

**გაუმარჯოს ლენინს!**

ეს ძახილი აჩერებს სამი ათას ღიმილს და ხმა მაღალი ოსანა დამთვრალი ხალხისა ლამის არყევს **მას**, **მას**, რომელიც ისევ დგას იქ ყველასათვის ხილული, ჩვეულებრივი ადამიანის სახით. იგი ხან ერთს ფეხს შეინაცვლებს და ხან მეორეს. ელის მოთმინებით, რომ შეწყდეს ხმაურობა.

დრო გამოშვებით მოწყვეტილის ხელით ამოიღებს საათს.·. ექვსი წამი გავიდა! ეს მართლაც გადაჭარბებულია როგორ? კიდევ! ეს მართლაც გადაჭარბმბულია! ბოლოს მაინც დავიწყოთ თუ არა?

და ქუხილი მისწყდება თუ არა, იგი იწყებს სადა კილოთი, თითქოს სხვათა შორის. იგი არ ეძებს საგანგებო გამოთქმათ შთაბეჭდილების მოსახდენათ. იგი არის რწმენით აღსავსე, ჩაფიქრებული. იგი არ მჭერმეტყველობს. მოკლე და სადა სიტყვებით მიმდინარეობს მისი ბაასი. ხან და ხან გაიხუმრებს და ფაქიზათ გაიღიმებს. შემდეგ ახლად დაუბრუნდება თავის გაუტეხავ აზრს გასაოცარის სიჯიუტით და ერთსულოვანი სიმკაცრით, როგორც ულელში შებმული ხარი. შიგნითა ჯიბეებიდან იღებს რაღაც დაკეცილ ქაღალდებს და ახალ აზრებს კიდევ თავის ფართე შუბლიდან ყოველ სიტყვას თითქოს იგი ფეხდაფეხ მისდევს მძიმე ნაბიჯით. და ეს სიტყვა ყველას უხელს თვალებს, ყველგან მოჰფენს ნათელ სხივებს და ეს სიტყვა არის შეუპოვარი, სასტიკი, იგი პირდაპირ იჭრება ლოღიკაში. იგი ფრთხილად გვერდს ხხვევს ყოველივე მჭერმეტყველურ ფანდებს. ლაპარაკში გართობილი ხან მიუახლოვდება ხან დაშორდება კუთხეში მიმდგარ პატარა მაგიდას. კითხულობს ციფირებს, ბრუნდება თავის ადგილზე და თავისი ჩვეულებრივის ხმით, ჩვეულებრივ საუბარით მტკიცედ გინერგავთ გულში თავის აზრებს. **იგი** ყველასათვის მისადგომია, როგორც უბრალო გამცლელი და თანაც ძლიერი, მეტეორივით. **იგი** ბაასობს ისე სადათ, ისე უბრალო სიტყვებით და გამოთქმაც ისეთი ჩვეულებრივი აქვს რომ ადამიანი გაკვირვებულია, რატომ თვითანვე არ გამოსთქვა ის, რაც მხოლოდ **მან** აღმოაჩინა ეხლა. **იგი** დროს არა ჰკარგავს, თვითონავე ასწორებს, თუ შეამჩნია რამე ნაკლი გამოთქმაში, თავის სასტიკის ხელით გადასწმენდს ქვეყნიერების ყალბ სურათს. მოვლენებსა და ციფირებს ათქმევინებს ყველაფერს, რაც სათქმელი აქვთ, მაგრამ მეტს ქი არაფერს და დაამთავრებს უეცრივ მოკვეთილ სიტყვით. იგი ისევე გაჰქრება სამი ათას მსმენელთა აღფრთოვანებულ ხმაურობაში, ტაშის ქუხილში და სიხარულში როგორც მოგვევლინა. ეხლა კი **მას** აღარაფერი ესმის. **იგი** გაგვშორდა. ოო, დროც არის! რვა წუთი გასულა ხმაურობაში.

ამგვარად მოისმინეთ თქვენ ლენინი.

მე ნების ვაძლევ ჩემ თავს ვსთქვა, რომ ეს არის მხოლოდ ერთი სურათი მრავალთა შორის, მხოლოდ ერთი წუთი **მის** უძლეველ გენიისა. ყოველ დღე ამასავე დაგიხატავთ სხვა ვინმეც და თანაც მის პიროვნებაში აღმოაჩენს კიდევ დიად მთლიანობას ბუნებრივის სიძლიერისა.

**მაგდანელა მარქს.**

# ვ. ი. ლენინს

**(წიგნიდან „რევოლიუციის ესტრადა“)**

შენი პორტრეტის წინა ვდგევარ და ვსჭვრეტ შეს სახეს.
მინდა მივწვდე და შევისწავლო შენი არსება!
მითხარ, ვინა ხარ? გენიოსი უუდიდესი,
ქერპი იმათთვის, ვინც სიმართლეს ემსახურება?!

შენი შუბლია ფრიალო კლდე მიუდგომელი,
ვით ბრძოლის ველი, მუდამ მფრქვევი რისხვის და შიშის!
შენი თვალები აფრიკისა უდაბნოს ჩრდილავს,
ცეცხლით ანთებულს, დაუზოგველ პაპანაქების!

შენი ღიმილი დაცინვაა ძველი ქვეყნისა!
შენ ნათელ ცქერას მზის სხივები ეთამაშება!
ბრწყინავი სახე შენი მტრებსა გულში ლახვარს სცემს
და ეუბნება: „აწ კი თქვენთვის არ გათენდება!“

1920 წ.

**აკოფ აკოფიანი**

# სალამი

(ფრიდრიხ ენგელსის პოემა)

I.

გამოველ ბაღში. მნათობს დახრილ დღის
გულში იქსოვდენ ნაზად ტალღები
და დაფიონმა ბსკერზე მდინარის
უხვად აპნია სხივთა ძაფები.
ზამბახებს ცეცხლის სუსტი ალერსი
მდინარისაკენ ხრის და აფითრებს,
მხოლოდ ჩრდილებში ხშირი ტოტების
არ მოსწყენიათ ჭიკჭიკი ჩიტებს.
და მდინარეზე გემები სთვლემდენ,
გზათ რომ ესახათ შორს ოკეანე.
ურმების იყო ხიდზე თქართქარი,—
არ მეჩნეოდა ღვინით სიმთვრალე.
მაგრამ იმ ღვინით, რომ ვცლიდი თასებს
გათბა სტრიქონი კალდერონისა,
ღვინით მომლხენი მე მგოსნის სახეს
უძღვენ სიმღერა ჩქეფარ გრძნობისა.

II.

და დასავალზე სჭკნება ვით ვარდი
დაისი... ცეცხლად რომ აფეთქდება;
მზეს თავისუფალს ეკარგვის დარდი,
ჩამქრალ სიბნელეს წყევა ჩაყვება.
აყვავილდება მთელი ქვეყანა,—
არ ემზსგავსება ის სიყვავილეს,
მიდამოს მორთავს ბაღი და ყანა,
ბზის ტყე ჩრდილოეთს ვარდს უქორწილებს;
ვარდს, რომ ზრდილია მუდამ ყინულზე.
ახალი ყოფნა ჩრდილოეთს ანთებს
და დაძრწის მუხა უდაბნოს გულზე,
ალოე აპნევს გარს არამატებს.
ის მომაგონებს ძლიერ სულს ხალხის,
უცხო გარეგნით და ეკლიანი,
უცებ ის მზგავსად ცეცხლის ყვავილის
ენთება ცისფრად, ვით ელვიანი.
აელვარდება წინად ფარული
და მიმოაპნევს გარს სურნელებას,
უფრო მეტს, ვიდრე ფარისეველი
ღვთის წინ სარკმეველს ცრუ ლალადებას.
მაგრამ მოწყენით ტყის სიჩუმეში
დგანან გიგანტი ალვის ხეები,
და ვით სვეტები დგანან ჩრდილებში.
დავიწყებულნი განმარტოებით.

III.

და ფრინველები ხარბი გალობით
მეწამულ ცისკარს უძღვნიან სალამს;
არის ნიშანი ნაზი ღრუბლებით,
რომ მზე მიიღებს სამეფო ძალას.
ო, მზეს მოელის ხალხი მღელვარე
და მას მოელის ყველა იმედით,
რომ გულს ჩაიხშონ წარსული მწარე,
ტანჯვა-მონობის ბორკილთა მტვრევით.
არ უმღერიან აწ მი მღერლები
სრა სასახლეებს,—მათ ელის ნგრევა,
მათი დაღუპვით ხარობს მუხები,
რომ მზის სხივები უხვად ეპნევა.
თუ რომ სინათლე პოეზიაა
და ის სინათლე მოსავს ქვეყანას,
ჩეც პოეტი ვარ ჩემი ლექსია,
რომ ემსახუროს თავისუფლებას.
თვით ბერნე მყავდა მე ძლიერ მუხად,
როს აოხრებდა მტერი ქვეყანას,
როს გერმანია მტრისაგან ცდიდა,
ვით ბორკილებში ტუსაღი ტანჯვას.
თუმცა სუსტია ჩემი ხმა მღერის,
მაგრამ დავცურავ ეთერის ზღვაში,
არ მეშურება კვნესა ბულბულის
და თქვენ,—გაბედულ ჩემს სიმღერაში
მოისმენთ ჰანგებს თავისუფლების.
ვგავდე ბეღურას—არ მენანება,
მე არ მწამს ფიცი გვირგვინოსნების
გულს არ ვიკარებ მათ ერთგულებას



ფრიდრიხ ენგელსი

IV

ვხედავ ხომალდსა, რომ კვეთავს ტალღებს;
მასზედ აწყვია სხვა საქონელი,
რითაც ვაჭარი ვერ ინეტარებს:
დღეს ხალხი არის მისი მფლობელი.
ხომალდის ტვირთი—ბედი ხალხისა,
სიკვდილი არის თვითმპყრობელობის,
უუფლებობის და სიცრუისა,
საწინდარია თავისუფლების.
მას დაპირება მოაქვს ცხოვრების,
მასზეა დროშა არა მეფისა,
რომლის ღერბის წინ მონა თავს ხრის,
დროშა ტანჯვისა და მონებისა.
ხომალდსა მოსავს ღრუბლები ცეცხლის,
საცა გრგვინვა სჭექს ელვებიანი,
და იჭედება მსოფლიოსათვის
იქ ცისარტყელა იმედიანი.

V.

გულიდან გულზე გავდეთ ხიდები
სიყვარულის და სილამაზისა,
ჟამთა მდინარეს მიაქვს ტანჯვები,
გადაგვავიწყდა დრო წარსულისა.
ვის შეუძლია დანგრევა ბურჯის
ალმასებრ მაგარ ხიდეებისა,
ბაღს არ დავაჭკნობთ თავისუფლების,—
ყვავილებს ცეცხლის ალის ფერისა.
თავისუფლების არ ვაღრობთ ყვავილს
და კაცი სადაც არ გაიხედავს,
სადაც მიწვდება, სადაც კი არის
ყველგან მეგობარს ის დაინახავს.
გაჭირვების დროს ნახვენ სიმშვიდეს.
გაღვიძებისას მისი თვალები
არ შეხედავენ ავსა გრიმასებს.
და სიყვარული—სინათლე მთების,
რომ ვერ იპოვით დამჭკნარ რწმენაში
მარადისადმი მისწრაფებაა,
რომელიც ბრწყინავს უსაბნოებში,
მუდმივი არის ნივთიერება.
იქიდან მოვალთ სალი გონებით,
სადაც ისევე უნდა დავბრუნდეთ,
რომ აღვადგინოთ მრავალ რგოლებით
მთლიანი ჯაჭვი და შევკავშირდეთ.

VI.

ვგრძნობთ, რომ დაგვიდგა დრო ნეტარების,
შევხვდეთ ხეიმით თავისუფლებას,
ჭიქა ულვინოთ არ დაიდგმების,
ჩვენ არ დავკარგავთ ღვინით გონებას
ჩასში ბრწყინავენ მელოდიები,
ზეციური და გატაცებისა,
გულს ეკიდება ცეცხლის ალები
და აღმძვრელია მაღალ ვნებისა.
დღეს ჩვენი ცქერა უსაზღვროებით
დიდი ხნის სივრცეს შეუერთება
როცა არ სწამდათ თვალებს საზღვრები
ვარსკვლავთა ახსოვს ცას შეტაკება.
და წყვდიადიდან ტანჯვის და სევდის
გზა დაბნეულსა ადამიანებს,
მოხეტიალე შუქები ცეცხლის
მიუძღვებოდა წინ აღთქმის მხარეს.

VII.

ახალ ჰანგებზე მგოსანი მღერის
და პოეზიის მარგალიტს ეძებს,
მისი ლექსი გავს ლექსს კალდერონის
რომ იწვის მღერით, აკმევს სურნელებს.
ისმის სიმთ ჟღერა, ჰიმნი იფრქვევა,
ტახტი დაემხო ბნელი უფლების,
ქვეყნის მშვიდობა სხივათ იპნევა,
კვდება ტირანი ძალმომრეობის,
და ღირსეულად დამარცხდა მტერი
როს ხალხი მედგრად წინ მიიწევდა
ხიდზე, რომ ექო ლექსით კალდერონს
და ბრძოლის ცეცხლში მტრებსა იწვევდა,
დაჩაგრულთ განა არ მოევლინა
„ჰაერის ქალმა“ თავისუფლებით?
და „ტკბილ“ სიზმარით არ ატკბო განა
ჩვენი „სიცოცხლე“ საამო ხმებით?
რომ ასე არა, ხომ იქნებოდა
ქვეყანა ფუჭი და ცარიელი.
და განა მაშინ დაითვრებოდა
ჩვენი შეხვედრით მზე სანატრელი?
აავსეთ ყველამ ყანწები ღვინით.
საბედისწერო კვამლი ლაცისა,
რომ გაიფანტოს, არ დარჩეს დილით
და მივესალმოთ ტურფა მაისსა.

VIII.

როდის ამოვა მზე სხივოსანი
და გაგვშორდება დრო ხავსიანი,
რომ გადაეძროს გონებას ბნელი,
რომ დაიმარხოს წ— ეები ძველი?
მთვარე კიაფით მოსჩანს ღრუბლებში
და შიში მეფობს ღამის ბნელეთში.
ყოველი არსი ნისლში გაფლულა
მივდივართ ნელა, როგორც თხუნველა,
იყოს მოთმენა.. ჩქარა ღრუბლები
გაიფანტება ცაში სხივებით.
ნისლი თხელდება აჟრჟოლებს წყვდიადს,
მივეგებებით დღეს ნანატრს, დიადს.
აღმოსავლეთი ცეცხლათ ინთება,
სხივებში ნისლის ცრემლი ილვრება,
ელვარებს, ბრწყინავს ცის კაბადონი,
და სულსა გვიტკბობს ხმა იადონის.
ო, მთებს შეხედეთ იმ ლალის ფერებს,
ცეცხლი ანთია იმათ მწვერვალებს,
წითელ სხივების დღეს ნაპრალები
ქრიან ფაფარზე ციურ ცხენების,
მზეს თავისუფალს ქვეყნად შუქმფენსა
ჩვენი სალამი, სალამი მზესა.

მთარგ. ხანდრო ეული

# ამხ. გიგო ხეჩუაშვილის იუბილესათვის

### გიგო ხეჩუაშვილს

(მისი იუბილეს გამო)

შენ შრომის შვილთა თაიგული ხარ,
დაკოჟრილ ხელთა მშვენება სრული;
შენ მგოსანი ხარ მშრომელი ხალხის,
მუდამ გიყვარდა მოძმე ჩაგრული..-

შენ არ ინდომე სხვა წრეში ყოფნა,
მიტომ მრავალი ტანჯვა გხვდენია;
მტკიცე რწმენა და მიზანი სწორი
დღეს შენი სახის დამამშვენია...

თუმც მწარე იყო იგი წარსული,
მონური ყოფნა მრავალ ტანჯული,
თავადებისგან მოპყრობა მტრული
იყო მტანჯველი და მოწამლული...

მაგრამ ის ხანა ახსოვს გულში,
გულიდან კალამს მიანდე წერა;
ნაწყვეტ-ნაწყვეტად გადაიტანე
ფურცლებზე განვლილ ყოფნის აღწერა!..

და დღეს სახალხო მწერალი გქვია,
მუშა მწერალი სწორი, გულწრფელი,
ნაზ გრძნობას ცეცხლურ რითმებზე აწყობ,
საერთოდ კი ხარ ჩუმი-უთქმელი...

შენს ზეიმს ტრფობით ეგებებიან,
შენი მოძმენი მაშვრალი ერი;
მტანჯველი ბედი უკვე დავმარხეთ,
აწ იზეიმე ხარ ბედნიერი!..

მუშა სიო ხიდისთაველი.

❀ ❀ ❀

## გიგო ხიჩუაშვილი

(მოკლე ბიოგრაფიული მიმოხილვა)

მკითხველი საზოგადოება, ვისაც კი აინტერესებს მშრომელთა ბედი და ვინც კი თვალყურს ადევნებს ჟურნალ გაზეთებს, უეჭველად უნდა იცნობდეს მუშა-მგოსანს, გიგო ხიჩუაშვილს, რომელიც დაუღალავად ეწევა შრომის ჰაპანს 25 წლის განმავლობაში თავის მუშური კალმით.

მუშა მგოსანი გიგო ხიჩუაშვილი დაიბადა 1879 წ. აგვისტოს 15 ში სოფელ ახალქალაქში, გორის მაზრაში.

გიგოს მამას გასპარა ერქვა. დედას ქეთევანი. გასპარა უკიდურეს სიღარიბეს და ხელმოკლეობას განიცდიდა, თუმცა ხელობით მეჭურჭლე იყო, მაგრამ ამ ხელობას არ მისდევდა და ცოლ-შვილს არჩენდა თავის ბატონ თავად მიხეილ გეგენის ძე თარხნიშვილთან ხელზე სამსახურით.

გიგოს დედა, ქეთევანი, იშვიათი გულკეთილი ადამიანი ყოფილა, ხნე, გამრჯელი, რომელიც ჩხარში უდგა თავის ქმარს და ერთმანეთის თანხმობით უძლებდნენ ოჯახს. მაგრამ, რომ იტყვიან: „საწყალ კაცს ქვა ღმართში მოეწევაო“ სწორედ ასე დაემართა გიგოს მამასაც. ქეთევანი ათი შვილის დედა იყო თუმცა ამ ათიდან სამი შერჩათ, ორი ქალი და ერთი ვაჟი. ამ სამ შვილში უფროსი გიგო იყო. ქეთევანზე გავლენა იქონია წვრილშვილობამ, სიღარიბემ და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. ამ დროს 18 წლისა იქნებოდა გიგო.



ამხ. გიგო ხეჩუაშვილი

შვიდი წლისა იყო გიგო, რომ მშობლებმა სოფლის სკოლაში მიიყვანეს, მაგრამ ჯერ ანბანიც არ ესწავლა, რომ იმავე ზამთარს ისევ გამოიყვანეს, რადგან ბატონს ეთხოვა გიგო მოსამსახურეთ.

გიგოს მამამ უარის უთქმელად მიგვარა თავის შვილი მიხეილ გეგენიჩს (ასე ეძახდნენ თავადს), რომელსაც საძაგელ ჩვეულებად გადაჰქცეოდა ფეხების ფხანა და სწორედ გიგოც ამისთვის უნდოდა.

შვიდი წლის გიგო 14 წლამდის ამგვარ დამამცირებელ სამსახურს ეწეოდა გალაღებულ თავადის სახლში და ფეხების ფხანის გარდა სხვა საქმესაც აკეთებდა, როგორიც არის: ფეხსაცმელების წმენდა, ჭურჭლის რეცხვა, იატაკის წმენდა, ოთახების დალაგება-დასუფთავება და სხვა.

ერთხელ, როდესაც გიგო „ქალბატონის“ ოთახს ალაგებდა ორი ქართული წიგნი ნახა: „ყარამანიანი“ და „ვეფხის-ტყაოსანი“, რომლითაც ისე დაინტერესდა, რომ იმ დღიდან შეეჩვია ქართულ კითხვას და თორმეტი წლისამ თითქმის ზეპირად იცოდა ორივე წიგნი.

თოთხმეტი წლის გიგომ, მიატოვა ბატონის სამსახური და მანგლისში წავიდა, სადაც ერთ მეწვრილმანესთან იყო ნოქრად. ამ ხანებში გამოვიდა ანტონ ფურცელაძის ნაშრომი: „ბრძოლა საქართველოს მოსასპოიად და საქართველოის შესაერთებლად“. გიგო ძალიან გაიტაცა გიორგი სააკაძის ცხოვრებამ, შეადარა ყარამანის ზღაპრული ფალავნობა საქართველოს გმირის სინამდვილეს, აგრეთვე შოთას პოემის გმირ ტარიელით მოხიბლულს, შეუყვარდა წიგნების კითხვა, წერა და ხელი მოჰკიდა კალამს თექვსმეტი წლისა არც კი იქნებოდა, რომ ვრცელი პოემა უძღვნა გიორგი სააკაძეს. ამ პოემას თუმცა ნაკლიც აქვს, მაგრამ თბილის გულით დაწერილი მკითხველს იზიდავს. ამ ხნიდან გიგო გამოდის სამწერლო ასპარეზზე.

მანგლისში ვაჭრობას ვერ შეეთვისა გიგოს ბუნება და დაუბრუნდა 17 წლისა ისევ მამის ოჯახს.

ამ დაბრუნებას მშვენივრად აგვიწერს გიგოს თავის მოთხრობა „დურგლიანთ ქორწილში“.

სოფელში მომწყვდეულ გიგოს ფიქრები არ ასვენებდა და მომავალი ცხოვრების გზას ეძებდა. უნდოდა ისეთი საქმე გამოენახა სადმე, რომ თავის ღარიბ მშობლებისთვის და დებისთვის დახმარება გაეწია და თვითონაც ოოლათ წასულიყო.

სახლში უსაქმურად გული არ უძლებდა გიგოს, ამისათვის ხელი მიჰყო წვრიმალ საქმეს. აი როგორ გადმოგვცემს თვითონ:

„ამ ცუდაობაში დავუწყე ხელებს ცოდვილი და ჩიჩმაგურაობა. ავიღებდი წალდუნასა და ვსთვლიდი ხან ხის კოვზებსა, ხან ძვლის ყაისნაღებსა, ხან ილალებსა, წინდის ჩხირებსა და ხან კალაპოტებსა, რომელიც ორი წყვილი კიდეც გავყიდე ხარაზებში ექვს-ექვს შაურათა და ავიღე სამი აბაზი...“

ერთხელ, როდესაც გიგო ამ წვრილმან საქმეში იყო გართული სტუმარი ეწვია მის მამას, ნათლიმამა გიგა დურგლიშვილი, რომელმაც ძმის ქორწილში დაპატიჟა გიგოს მამა და თვით გიგოსაც სთხოვა მეჯვარეთ გაჰყოლოდა. გიგო უარზე დადგა, რადგან ქორწილში წასასვლელად მომზადებული არ იყო და არც ფული ჰქონდა სამი აბაზის მეტი, რომელიც კალაპოტების გაყიდვით აიღო, მაგრამ მაინც არ მოეშვა დურგლიშვილი, ერთი ორი მანეთი უშოვა მამამ გიგოს და თითონ და შვილი ქორწილში წავიდნენ ახალციხეში.

ამ ქორწილში წასვლით დიდათ ისარგებლა გიგომ, რადგან ეს ქორწილი გაუხდა საბაბათ, რომ დაეწერა თავის მშვენიერი მოთხრობა: „დურგლიანთ ქორწილი“, რომელიც ფელეტონებად დაბეჭდა გაზ. „ივერიაში“. შემდეგ კი წიგნად 1903 წ. ამ მოთხრობაში მშვენივრად და ხალხურის ენით აქვს აწერილი სოფლის ზნე-ჩვეულებანი.

1896 წ. შემოდგომის შემდეგ, გიგომ გადასწყვიტა ტფილისში წამოსვლა და სისრულეშიც მოიყვანა თავის ბანზრახვა. ერთ მშვენიერ დღეს, რადგან გზის ფული არ გააჩნდა სოფელ მეტეხის ბოლოში შეუხტა მეტივეებს და ტფილისს პირველად ტივით ესტუმრა გიგო.

პატარა გიგოს ტფილისში არავინ გააჩნდა გულშემატკივარი და თავის-თავის ანაბარა

იყო, მაგრამ აქ ისეთი გამბედაობა და სიჭკვიანე გამოიჩინა, რომ გარყვნილების ჭაობში არ ჩაეფლო.

მან პირველად ვერ მიაგნო შესაფერ საქმეს და ბევრი ვაი-ვაგლახი გამოიარა. რომ იტყვიან „კალო არ მოლეწილა მის თავზე“ თორემ სხვა ყველაფერი გადახდა.

როგორც ვსთქვი, რადგან შესაფერი საქმე ვერ იშოვნა, გიგო პირველად შეშის ვაგონებს სცლიდა რკინის გზის სადგურზე, შემდეგ შეშის საწყობში მუშაობდა, ერთ ზამთარს საჯინიბოში ცხენებსაც უვლიდა.

საჯინიბოსაც მიანება თავი გიგომ და ახლა ოჯახებში დაიწყო ხელზე მოსამსახურობა. ერთხანს სომხის ეპისკოპოსთანაც იყო გიგო მსახურად.

გიგომ ეპისკოპოს სურენიანცის სამსახურიც მიატოვა და სტამბაში შევიდა. მაშინ 24 წლისა იქნებოდა. ეხლა თითქოს მიაგნო თავის შესაფერ საქმეს და მხნედ შეუდგა თავის საყვარელ საქმეს, მწერლობას.

გიგოს მრავალი ნაწერები აქვს, რომელიც შეიცავენ: მოთხრობებს, პიესებს, პოემებს და ლექსებს. თავის ნაწერებს ბეჭდავდა ხოლმე თითქმის ყველა ქართულ გაზეთებში და ცალცალკე წიგნაკებადაც არის დაბეჭდილი.

თუ მივიღებთ მხედველობაში გიგოს შინაურულ აღზრდას, რომ სწავლა-განათლება არასად არ მიუღია, მას მაინც ბევრი კარგი რამ აქვს დაწერილი, რაც ძკირფასად ჩაითვლება მუშათა მწერლობაში.

1917 წ. რევოლიუციამ, ფრთები შეასხა მუშა-მგოსანს, ალაგზნო იგი სიხარულით და რომ საბოლოოდ გაემარჯვნათ მუშებს დამარცხებულ თვითმპყრობელობაზე მოუწოდებს ერთობისაკენ, რომ „ბოროტ შავრაზმელებს მარჯვედ უთვალთვალონ“.

გიგოს სწამდა, რომ თავისუფლება გაიმარჯვებდა და ეს რწმენა ურყევად შერჩა მას, მაგრამ ერთი რამ აღონებდა მას ყოველთვის. ეს იყო მუშების ჩამორჩენილობა.

როგორც ზევითაც ვსთქვი გიგოს ნაწერებში ბევრი რამ არის საყურადღებო, ის არ ამოიწურება ორიოდე სიტყვით და მოითხოვს გამოცდილ კრიტიკოსის ყურადღებას, რომელიც არ დაიზარებს და მუშური საზომით მიუდგება მუშა-მგოსნის ნაწერების გარჩევას.

ამასთანავე უძვირფასესი საჩუქარი იქნება მუშა-მგოსნის პატივისცემის აღსანიშნავად, რომელიც 25 წლის განმავლობაში ეწევა დაუღალავ შრომას თავის მუშური კალმით, სახელმწიფო გამომცემლობამ იკისროს მისი ნაწერების მთლიანი გამოცემა და ჩვენც მუშები, მივალენი ვართ ღირსეულად დავაფასოთ მუშა-მგოსანი და გადუხადოთ საპატივსაცემო იუბილე 25 წლის მოღვაწეობისთვის.

ახოთ-ამწყობი პ. ახალკაცი.

# მუშა-პოეტი გიგო ხეჩუაშვილი

აღსანიშნავია, რომ ზოგი მწერალი ხშირად ჩვენი ქართული კრიტიკის კალმის ღირსი არ ხდება, მიუხედავათ იმისა, რომ ის კრიტიკის მიერ პარნასზე აყვანილ პოეტს არ ჩამოუვარდება.

აბა რამდენი ხანია სწერს და მოღვაწეობს ერთი წყნარი, უჩინარი და ჩვენი კრიტიკული „კრიტიკის“ უცნობი მუშა პოეტი გიგო ხეჩუაშვილი, და თუ ვინმეს მიუქცევია მისთვის ჯეროვანი ყურადღება? რასაკვირველია, არავის. და ეს მაშინ, როცა გიგოს არა ნაკლები გაუკეთებია ჩვენს მწერლობაში, ვინემ ბევრ მწერალს. ცხადია ასეთი ბედი მიტომ ეწვია ხეჩუაშვილს (მისი ფსევდონიმია თეძმიხეველი), რომ ის, როგორც მუშა, ძლიერ შორს დგას იმ წრეებიდან, რომელთა ხელშია ჯერჯერობით ქართული მწერლობისა და კრიტიკის ბედი. მაგრამ „ჩვენი მუშები არ მიყვებიან სხვის დირიჟორობას და მუშა-პოეტის ღვაწლს ამ მოკლე ხანში სათანადოთ დააფასებენ.

25 წელიწადი შეუსრულდება გიგო ხეჩუაშვილს (თეძმისხეველს), რაც ის სწერს. ამ ხნის განმავლობაში გიგოს უტყუარ პოეტურ ნიჭს ბევრი რამ შეუქმნია, რაც ფრიად სერიოზული დაფასების ღირსია. ჩვენი მიზანიც ის არის, რომ ერთის თვალის გადავლებით მკითხველს გავაცნოთ მუშა-პოეტი გიგო ხეჩუაშვილი, რომელსაც, როგორც მოვიხსენეთ, 25 წლის განმავლობაში უწერია და რომლის ღვაწლს ტფილისის პროლეტარიატი. კერძოდ რკინის გზის მუშები*) მოკლე ხანში მისი იუბილეს მოწყობით, შესაფერად დააფასებენ.

მეტად ვიწროა ამ წერილის ფარგლები, რომ შეიძლებოდეს მასში გადმოვშალოთ გიგო ხეჩუაშვილის მთელი ნაფიქრალი და ნააზრევი, რომ შეიძლებოდეს მისი მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედების დეტალურად გარჩევა, რაც უთუოდ საჭირო იყო, ვინაიდან ჩვენ მუშის შემოქმედებასთან გვაქვს საქმე. მაგრამ, როგორც ვთქვით, ამის შესაძლებლობა ამჟამად არ გვაქვს. ამიტომ ეს წერილიც მხოლოდ ზერელე გადახედვა იქნება გიგო ხეჩუაშვილის მოღვაწეობის და კერძოდ მისი პოეზიის (უმთავრესად მის ლექსებს შევეხებით).

ჯაფა, შრომა, ხშირად აუტანელი, ხელმოკლეობა, აი რა იყო ბუნებით ნიჭიერი ახალგაზრდას ხვედრი. წერა-კითხვაც თავისით ისწავლა ხეჩუაშვილმა. როცა ის ბატონთან სამსახურის დროს ერთხელ ოთახში „ყარამანიანსა“ და „ვეფხის ტყაოსანს“ წააწყდა. ამ წიგნების სურათებმა მეტად დააინტერესა ცნობის მოყვარე ყმაწვილი და მანაც გადასწყვიტა წერა-კითხვა კარგათ შეესწავლა. 12 წლისა ამ გიგომ უკვე „ვეფხის ტყაოსანი“ ზეპირად იცოდა „ყარამანიანის“ გალექსვაც კი დააპირა. მან წერა 14 წლისამ დაიწყო. 17 წლისამ დასწერა მოთხრობა „დურგლიანთ ქორწილი“. ეს მოთხრობა დაიბეჭდა 1902 წ. გაზ. „ივერიაში“.

*) გიგო ხეჩუაშვილი ახოთ-ამწყობია რკინის-გზის სტამბაში და მუშაობს გაზ. „რკინისგზელზე“, რომელშიც ის ხშირად ათავსებდა თავის ლექსებსა და მოთხრობებს.

ხეჩუაშვილს სისტემატიურად არ უწერია, მაგრამ მაინც ბევრი აქვს მას ნაწერი, როგორც ლექსად, ისე პროზად. თავისუფალ დროს ის, გარდა წერისა, კითხვას ანდომებდა.

გიგო ხეჩუაშვილს მარტო დაბეჭდილი 35 სხვადასხვაგვარი ნაწარმოები აქვს: პოემები— დრამატიული, ისტორიული და ლეგენდა... („პაატა“, „რუიზანი“, საქართველოს გმირი“, „ოცი ძმა“ და სხ.) მოთხრობები („დურგლიანთ ქორწილი“, „სიმონა ბუჯიაშვილი“, „მუკვლე“, „უკულმართობა“, „სამჯერ ოცდაორში“, „შეიცვალნენ“, „ბერუას ნიკორა“, „ცელქი რეზო“, „მანუჩარი“, „პირშავი“, „ჩალააანთ მიხაკა“ და სხ.). დრამატიული ნაწერები („მუშა მგოსანი“, „დარბეულნი“, „უმანკონი“ და სხ.) გარდა ამისა ხეჩუაშვილს უწერია ეტიუდები, საბავშო მოთხრობები და პიესები და მრავალი ლექსები. სხვათა შორის ერთი მისი მოთხრობა, რომელიც ზევით დავასახელეთ—„სამჯერ ოცდაორში“ და რომელშიც 1905 წლის ამბებია აწერილი, მეფის მთავრობის ცენზურის მიერ აკრძალული იყო. გიგოს ბლომად აქვს აგრეთვე დაუბეჭდავი ნაწერებიც. აქ ჩამოთვლილი ნაწარმოებნი ხეჩუაშვილისა ძველად იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში; ახლა კი თითქმის ყველა ცალკე წიგნადაა გამოცემული. ხეჩუაშვილის ნიჭის დამახასიათებელი თვისებაა. რომ მას ერთნაირად ემარჯვება როგორც პროზა, ისე ლექსი. ორივე უბრალო, სადა და მარტივია. ორივეში თქვენ ხშირად შეხვდებით საკმაოდ მხატვრულ პოეტურ სურათებსა და სახეებს. ხეჩუაშვილის ლექსს ხალხური ლექსის დაღი ამჩნევია. გიგო თავის ლექსებში ნამდვილი ხალხური პოეტია, არა მარტო ლექსის ფორმით, არამედ შინაარსითა და აზრით. რითმა ადვილად ემორჩილება მუშა-პოეტს და მისი ლექსები ნაძალადების შთაბეჭდილებას სრულიად არ სტოვებენ.

გიგო ხეჩუაშვილი მუშაა და ამიტომ მისი ლექსებიც თითქმის მხოლოდ მუშის აზრებისა და ფიქრების, მუშის გულის ნადების გადმოშლაა. ამ მხრივ ხეჩუაშვილი თამამად ამოუდგება გვერდში მეორე ჩვენს ხალხურ და მუშურ პოეტს ი. დავითაშვილს (ხელობით მეჩუქურთმეს), რომელმაც წერა-კითხვა „ქვაბის მურით და ხარის ბეჭზე“ ისწავლა და შემდეგ კი, თვით ბეჩავი და ნახევრად მშიერი „შეიქნა ერის ფიქრისა და საჭიროების მღაღადებელი“.

თანამედროვე ქართველ პროლეტარულ პოეტების რიგშიც ხეჩუაშვილს სრული სითამამით შეუძლია საპატიო ადგილი დაიკავოს ამ ადგილს სავსებით ამართლებენ მისი ლექსები, რომელნიც იბეჭდება „კომუნისტ“-ში გაზეთ „რკინის გზელში“ და სხვაგან. როგორც აღვნიშნეთ, გიგო ხეჩუაშვილი, როგორც მუშა-პოეტი ნამდვილი გამომხატველია მუშის სულისკვეთების და მას შეუძლია ი. დავითაშვილთან ერთად სთქვას:

„მუშა რომ ვარ, მისთვის ვიცი
მუშის გულის პასუხები“-ო...

აი ამ „მუშის გულის პასუხებს“ გვაცნობს ხეჩუაშვილი თავის მთელ რიგ ლექსებში. მაგ-

რამ გიგო არ კმაყოფილდება მუშის გულის ნადების გამოხატვით, მუშის მწარე ხვედრის დასურათებითა და გადმოცემით. ის ტანჯულ მშრომელ ხალხს ბრძოლისკენაც მოუწოდეას და მას ასულდგმულებს უეჭველი გამარჯვების იმედი. მუშა-მგოსანს ღრმად სწამს, რომ „ბნელი ხანა“ გაივლის და „ჩაგრულთ ღმერთი გაიღვიძებს“. ეს მტკიცე იმედი მზიანი მომავლის ხერხეუაშვილმა გამოხატა ლექსში „გულის ნადები“ (1900 წ.), ის ციცინათელას მთელ ჰიმნს უძღვნის მუშა-მგოსანი და ეს იმიტომ, რომ ის იმედის გრძნობებს უღვიძებს გულში:

…„მაგრამ რადგან ხანდისხანა
გამოაჩენს ოდნავ ნათელს
გულში იმედს ჩამისახავს
სულში მინთებ ღვთიურ კანდელს“,

ამბობს პოეტი და შემდეგ განაგრძობს, რომ სადაც არ უნდა წავიდეს ის, ქარს გაყვება, თუ ბუქს, თავის ნათელს ყველგან წაიღებს და…

იმედი მაქვს იქაც ნახავ
ჩემებრ წრფელსა მეგობრებსა,
ცოტა მაინც გაუნათებ
ბნელში მებრძოლ-მეომრებსა“…

„ცხოვრებისგან გატანჯული“ მუშა-პოეტი გაზაფხულს მისთვის ელის, რომ „ჩაგრულთა სანუგეშად, უალერსოს სულსა, გულსა“…

ხშირად პოეტს გულის სიღრმიდან ამოსკდება ხოლმე სასტიკი ჩივილი თავის მწარე ბედზე, და ეს არის არა მარტო მისი საკუთარი განცდა. არამედ ეს მთელი მშრომელ ხალხის ამონაკვნესია. „მაშ, როდის უნდა შევირგოთ ჩვენი ოფლი და ალალი“-ო. სჩივის მუშა; მაგრამ მასში უცებ აენთებიან მომავლის იმედის სხივები და ბნელ აწმყოს აუნათებენ მას. ამიტომაც პოეტი ხშირად უმღერის მზეს, განთიადს, გაზაფხულს, როგორც შვებისა და ხსნის ემბლემას.

საუცხოვოდ დახატა გიგო ხერხეუაშვილმა ღარიბი გლეხის ტანჯვა ლექსში „გლეხისჩივილი“. გლეხი ემდურის მუხთალ ბედს, რომელიც მას არ ეკარება მაშინ, როცა წუთისოფლის ბორბალმა ის უკულმა დაატრიალა, მუდმივმა ჩაგვრა-მონობამ გაატიალა და ცხოვრებამ მწარე სამსალით ტანჯვის ფიალა აუვსო. გლეხი მშიერი და ტიტველია; მღვდელი, თავადი და ვაჭარი, ყველა მისი ბარგია და სხ. ეს ერთის შეხედვით, უნუგეშობით, უიმედობითა და სასოწარკვეთილებით ალსავსე ლექსი ბოლოს მაინც ასეთი მოწოდებით თავდება.

„მივსძებნოთ ძმებო, სინათლით
რაც ბნელით დაგვიკარგა“…,

გიგო ხერხეუაშვილის მრავალ ლექსში ვერ ნახავთ ვერც ერთს, რომლიც პოეტის სრული უიმედობას გამოხატავდეს. ეს არც შეშვენის მუშა-მგოსანს, მებრძოლ-პოეტს, რომლისთვისაც „დღეს თუ ღამე ბნელია, ყველგან ბრძოლის ველია, ხვალ ხომ გაუთენდება-მზე ამოსასვლელია“… ამიტომ პოეტი, ამ იმედით გამსჭვალული ცხოვრებას, როგორი შავბნელიც არ უნდა იყოს ის, არ ეპუება და მომავლისთვის შეუპოვრად იბრძვის. აქედან ცხადია, მებძოლი პოეტი აღტაცებით შეეგება 1905 და 1917 წლებს, როცა გაისმა „ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა“. ეს მან გამოხატა ლექსებში „მაისი“, „თავისუფლება“ და სხ. ლექსში „თხოვნა“ მუშა-მგოსანი გამოსთქვამს შიშს, რომ მებრძოლი პროლეტარიატის ძალები არ გაიყოს, არ დაიქსაქოს, ამით მუხთალმა მტერმა არ ისარგებლოს და ნადავლი ისევ ხელიდან არ გამოგვტაცოს.

ასეთივე ბრძოლის ცეცხლითა და იმედის სხივებით არის გამთბარი გიგო ხერხეუაშვლის უკანასკნელი ლექსებიც; ამ მხრივ საყურადღებოა: „განთიადზე“, „მანქანასთან“, „ხომალდი“, „ახალი ხიდი“ და სხ. ამ ლექსებიდან სჩანს, რომ ახალ პოზიციაზე გამაგრებული მებრძოლი-პოეტი საბოლოო გამარჯვებისაკენ უხმობს მშრომელ ხალხს. მგოსანი გრძნობს, რომ ერთი გადამწყვეტი ბრძოლა კიდევ უნდა გაიმართოს და ისაც მაშვრალთა გამარჯვებით უნდა დამთავრდეს. ამ მხრივ საგულისხმოა ლექსი „განთიადზე“, რომელსაც პოეტი ასე ათავებს:

„მაშ სიოვ, შეხძარ მთები, ტყეები,
აქარიშხალდი, გაღონიერდი,
გადახიდულ კლდეს მძლავრად შეები
და შეუნგრიე პიტალო გვერდი.
დეე, დაიქცეს ძველი სამყარო,
ოღონდ ახალი მკვიდრად აშენდეს,
ამოჩუხჩუხდეს მაშვრალთა წყარო
და შვების დილა მალე გათენდეს!“

ამ „შვების დილის“ მოლოდინშია მუშა-მგოსანი. და მას სწამს, რომ ხომალდი, რომელიც ბნელ, უკუნეთ ღამეში აბობოქრებული ზღვაზე შეუპოვრად მისცურავს, რომელსაც გაბრაზებული ქარიშხალი ეხეთქება და მძლავრად აქანებს, ის, მაშვრალთ დროშით დამშვენებული, განთიადისას სანაპიროებს მიადგება:

…„ჩუ' განთიადი ეფინება სანაპიროებს,
ღამის ნიანგნი ხომალდს ვეღარ ეკარებიან.
შრომის ქვეყანას ზარი იხმობს, ერთად აგროვებს,
ინტერნაციონალს მეზღვაურნი ტკბილად მღერიან!“.

რევოლიუციონერმა პოეტმა თავის მტკიცე რწმენა მშრომელი ხალხის საბოლოო გამარჯვებისა გამოსთქვა აგრეთვე ლექსში „ნინოშვილის ძეგლთან“, რომელიც მუშა-მგოსანმა „ხალხის გულის მესაიდუმლეს“, მშრომელი ხალხისთვის განაწამებსა და ბრძოლის ცეცხლში დაფერფლილ ეგნატეს ხსოვნას უძღვნა და ამით მას მისი სანატრელი იდეალების განხორციელება ახარა:

„დღეს მკლავაძე დაეცემა ცხელი ტყვიით განგმირული,
სპირიდონი გაიმარჯვებს სიმართლისთვის განწირული!
დღეს ქრისტინე სილამაზით მოაწონებს თავს იადონს
და სირცხვილის ალით დასწვავს მოლალატე შავს იასონს.
დღეს სიმონა ტყის სიღრმეში მძულვარე ცეცხლს ააკვესებს
და დროიძის ღვარძლიან გულს აატირებს, ააკვნესებს!
დღეს სამარე გაეთხრება გაიძვერა მოსე მწერალს
და მით ძეგლი აეგება ჩაგრულ ხალხის ტკბილ მომღერალს!“

ასეთია, მოკლედ, მუშა-პოეტის გიგო ხერხეუაშვილის პოეზიის მთავარი მოტივები.

გ—ლი.

# ჩვენი წინსვლა

ჩვენ მივდივართ, ჩვენი წინსვლა აპობს ზვირთთა მედგარ გორებს,
ალთქმის მხარეს მიგვაქანებს ძველი ყოფნის ზღვარს გვაშორებს;
ვტოვებთ წარსულს უამურსა, შორით გველის დღე ახალი,
და წინ გვიწვევს საბრძოლველად რღვევის მძაფრი ქარიშხალი.

ჩვენ არ ვიცით რაა შიში, არცა მსხვერპლის ანგარიში,
ვიცით მხოლოდ, თავდადებით ბრძოლა ჰმარეთებს ჩაგრულს ჭირში.
და მიზანი საყვარელი, თუმც ჯერ სიზმრათ გვეჩვენება,
ეს იმიტომ, რომ არ ვდგებით, რომ არ ვიცით მოსვენება!

ჩვენ ზღვამ გვშობა, ზღვამ შთაგვბერა თვისი ძალა, თვისი სული.
რომ ბრძოლაში არ დავეცეთ, რომ არ გვექნეს დასასრული…
აქ სიცოცხლის ქარტეხილზე რწმენა ისე გადაება,
თვით სიკვდილმაც ვერ წაგვართვას ვერ მოგვტაცოს უკვდავება!

ჩვენ მზეს ვეძებთ, რომ ქვეყანა ნეტარებით გავანათოთ.
ადამის ძის სასწაული, ღმერთებს ექმნეთ საკამათოთ.
მიწაზე კი აღიმართოს ის სიამე სანატრელი,
სადაც მარად იციმციმებს ჩვენი ყოფნის სხივ,-კანდელი,

გზა თუმც არის მეტად ძნელი ბევრი ჭირის განსაცდელი,
კიდევ ბევრი დაეცემა მოძმე ჩვენი საყვარელი…
მაგრამ იმას რა სჯობია, როდესაც ზღვა ყალყზე დგება,
და გარდაქმნის ქარიშხალსა ვეგებებით, გვეგებება?!.

როს ქარი სცემს გემის აფრას და სალ კლდეზე ზვირთი სკდება,
მაშინ გული შურს ლალადებს, მაშინ ტანჯვა გვავიწყდება,
წინ იშლება ალთქმის მხარე თვის სიტურფე ფერადებით,
სადაც შრომის შვებას ვპოებთ და სიყვარულს შევეყრებით.

იქ ბრძანებლობს ძმობის „ღმერთი“, იქ ციმციმებს გაზაფხული.
იქ არ მოსჩქებს სისხლის ღვარი, იქ არ არის დაჩაგრული;
ყველა ხარობს, ყველა იშვებს ნეტარება-სახარულით,
და მუსიკობს ცა და მიწა კომუნიზმის სიყვარულით!..

სით ხიდისთაველი.

# ობოლი სამარე

შემოდგომის დღეა. წვიმს წვრილი წვიმით, თქორი; მცენარეებს შემოძარცვიათ ფოთლები.

მხოლოდ აქა იქ თვალს მოჰკრავთ ლეკენჩხარს, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია ფოთლები.

ეს ერთად ერთი მცენარეა, რომელიც მეტოქეობას უწევს ზამთრის სუსხს და მის მოახლოვებას.

მიდამო მიყუჩებული, უსულდაგულო.

ამ სიჩუმეს მთელ სოფელში ხანდახან ძაღლის ყეფა თუ დაარღვევს.

გაივლით რამდენიმე სოფელს და ვერსად ვერ ვერ დაინახავთ ადამიანს, ცხოველებს... ხოლო ფრინველები კი თავისუფლად დაფრენენ, ჭღურტულებენ, იგრძნეს, რომ ახლა ადამიანი მათ აღარ აწუხებს.

ჯანვლელი ამ სოფელში, რომელიც მარტო მოგზაურობას არ არის ნაჩვევი, ძალაუნებურათ შეშინდება. სახლები დანგრეული, ღობე ნახევრად გარღვეული ყველგან.

საშინელებას წარმოადგენდა სოფელი თავისი სიცალიერით.

აქ ერთი კვირის წინ ბრძოლა სწარმოებდა წითლებსა და თეთრებს შორის, თეთრები თავისი ფეხოსანი ჯარით ებრძოდენ წითლებს, წითლები ცხენოსან ჯარს წარმოადგენდა.

ბრძოლა დიდი ხნით არ გაგრძელებულა, ერთი შეტევით წითლებმა აიძულეს თეთრები უკან დაეხიათ. უკან დახევისას თეთრებმა სოფლიდან ყველაფერი გაიტაცეს, რაც კი იქ მოიპოვებოდა ღირსშესანიშნავი.

ამ ბრძოლაში ბევრი დაიხოცა თეთრების მხრიდან. დაჭრილებიც ბევრი დარჩათ, ისე გაიქცენ, რომ ვერ მოასწრეს დაჭრილების წაყვანა. თეთრებს იმ წამსვე გამოუდგა უკან წითლების მთელი ცხენოსანი ჯარი.

მართალია, ერთი კვირაა, რაც ამ სოფელში ბრძოლა აღარ სწარმოებს, მაგრამ სოფლელებს ვერ გაუბედავათ დაბრუნება, ბრძოლის ველის დაახლოვების ეშინოდათ

ამ მივიწყებულ სოფელში მხოლოდ ერთ ქოხის თავზე ამოდიოდა კვამლი. ეს სიცოცხლის ნიშან-წყალი იყო. ამ ქოხიდანვე გამოისმოდა ძაღლის ნაღვლიანი ყეფა.

პატარა ძელურ ქოხში დარჩენილა გახიზნის დროს ხუთმეტი წლის ყმაწვილი; მას მეტწილად ეძახდენ ბიჭიკოს.

მან ვერ მოასწრო გახიზნა. ქოხში დაიმალა ყურშავასთან ერთად — ასე ეძახდა ძაღლს ბიჭიკო, რომლის ერთად ერთი მეგობარი ის იყო.

ყურშავა და ბიჭიკო დიდი დამეგობრებული იყვნენ. ორთავე მარტოობას გრძნობდენ, რის გამო ერთმანეთისადმი სიყვარული კიდევ უფრო იზრდებოდა.

სოფელი (?) მიწყნარებულიყო. მზეს კი სამი დღეა რაც არ გადაეხედა დედა-მიწისთვის, თითქოს ისიც არიდებდა ცარიელ სოფელს თავის მადლიან სახეს. განუწყვეტლივ სუსხიანი ქარი ტრიალებდა დედა-მიწის პირზე, ქარის შეჩერების შემდეგ კი ღრუბლები სცრიდა წვრილ წვიმის წვეთებს.

ამ ცარიელ სოფელში, სადაც ადამიანის სახე მივიწყებულია, არსად სჩანს — ეს პატარა ძელური ქოხი სდგას, აბოლებს კვამლს ამაყად თითქოს სიცოცხლეს სდარაჯობს. ამ ქოხიდანვე დრო გამოშვებით მოისმის ყურშავას ყეფა.

ყურშავას ხან ბიჭიკოც აყვება კრიმანჭულით. ქოხში ბიჭიკოს გაუჩაღებია ცეცხლი. მის გარშემო სხედან ყურშავა და ბებერი ციცუნია, რომელიც დიდი ხანია დასთხოვია თაგვებზე ნადირობას მოხუცობის გამო.

სამნივე თბებიან გაჩაღებულ ცეცხლით. ბიჭიკო მიუბრუნდება ყურშავას, თავზე ხელს გადაუსვამს და მიალერსებით ეტყვის:

— ყურშავა, გშია?

ძაღლი ნიშნად თანხმობისა ერთს ლაზათიანად დაამთქნარებს და შემდეგ დაიწყებს კუდის ქიცინს.

ბებერი ციცუნიაც მოიხრება წელში, ბიჭიკოს ფეხებში გაეფხანება გვერდით, მოფერების ნიშნათ, მანაც იგრძნო საჭმელის შესახებ იყო ლაპარაკი.

შემდეგ ბიჭიკო მიდის უზანდარასთან, გამოაქვს პურის ნაჭერი და მუხლ მოკვეთილი უბრუნდება გაჩაღებულ ცეცხლს. ბიჭიკო გაუნაწილებს პურს ყურშავას და ციცუნიას. ციცუნია თავის წილს შეითრევს ტახტის ქვეშ და იქ დაუწყებს ღრნას.

— ჭამე ყურშავა, ჭამე! ეს პური ხომ ყოველთვის არ გვეყოფა, სულ ერთია ახლა შევჭამთ ამას თუ ერთი საათის შემდეგ. ეს პურის გამოლევის ნიშანი იყო.

ბიჭიკოს თვალები აუცრემლდა. მას მშველელი ახლოს არავინ ეგულებოდა. გრძნობდა, რომ ადრე ის და მისი საყვარელი ყურშავა და ციცუნია სიმშილის მსხვერპლი შეიქმნებოდენ. ახლოც არავინ ყავდა მეზობლად, ირგვლივ ბრძოლის ველი ერტყა — ტყვიის ცეცხლით შემოხაზული.

ამ ფიქრებში იყო ბიჭიკო გართული, რომ უცებ ცხენოსან ჯარის-კაცთა მჭყობრი სიმღერა შემოესმა; საღამოს 6 საათი იყო. ის წამოვარდა ზეზე და სიმღერას დააყურა. პატარა ხნის შემდეგ გარეთ გავიდა. მას აედევნა ყურშავაც: ჩვეულება ქონდა ასეთი.

ბიჭიკომ უცებ თვალი მოჰკრა ცხენოსან ჯარს, რომელიც სწორედ მის ქოხს უახლოვდებოდა, ყურშავამ ყეფა ამოჰკიდა, არ გასულა ხუთი წუთი და ცხენოსანი ჯარი მიადგა ქოხს.

მოსხლეტილად ჩამოხტა ცხენიდან ჯარის უფროსი და მიუახლოვდა ბიჭიკოს.

— შენ აქ მარტო ხარ?

— სულ მარტო, მხოლოდ ეს არის კიდევ ჩემთან, მიუთითა ძაღლზე ბიჭიკომ. ყურშავასაც ესიამოვნა, რომ ისიც იქნა ლაპარაკში ჩარეული და კუდის ქიცინი დაიწყო.

ჯარის უფროსს ღიმილი მოერია.

— მარტოდ რას აკეთებ აქ?! კიდევ შეეკითხა ჯარის უფროსი.

— არაფერს, გახიზნა ვერ მოვასწარი და დავრჩი უპასუხა ბიჭიკომ.

— შენ რა პარტიისა ხარ? შეეკითხა უფროსი.

— მე პარტია არ ვიცი; მე და ყურშავა სულ უპარტიონი ვართ. მე ძალიან მიყვარს იგი. მასაც პატივისცემა აქვს ჩემი. ჩვენ ორთავე ამ ქოხს არ გავცილებივართ.

— დედა, მამა არა გყავს? ახლა ლმობიერად შეეკითხა ჯარის უფროსი.

— დედა არ მახსოვს, მამა თეთრებმა სოფლის შემოსევის დროს გაიტაცეს.

— მერე შენ როგორ გადარჩი მოტაცებას?!

— მე? შეეკითხა ბიჭიკო. მე ქოხის ჭერზე მოვასწარ დამალვა, სახლიდან ყველაფერი გაიტაცეს, მამასაც ბევრი სცემეს. მე გადავრჩი, ჭერზე არ ამოსულან ამ სიტყვების შემდეგ ბიჭიკოს წასკდა თვალებიდან ცრემლი.

ჯარის უფროსი მოეფერა და ანუგეშა. შემდეგ მან ქოხს თვალი გადაავლო, კარზე შენიშნა ჩამოკიდული წითელი დროშა.

— ეს დროშა ვინღა ჩამოჰკიდა კარზე? ლმობიერად შეეკითხა ჯარის უფროსი.

— ეს მე ჩამოვკიდე!

— მერე თეთრების არ გეშინია?

— თეთრები აქედან ახლა შორს იქნებიან, ერთი კვირაა, რაც ისინი წითლებმა დაიფრენიეს — უპასუხა ბიჭიკომ.

ჯარის უფროსი პირველად დაფიქრდა, შემდეგ მიმართა თავის თანაშემწეს:

— ამ ღამეს აქ მოგვიწევს გაჩერება, გადაეცი ჯარის-კაცებს, რომ ცხენებს უნაგირები მოხადონ და თივა მისცენ

ბრძანება შესრულებული იქნა. ჯარის-კაცებმა ცხენებს დაუყარეს თივა, შემდეგ გააჩაღეს ხუთ-ექვს ადგილას ძლიერი ცეცხლი.

დაიწყო ლაზღანდარობა, ბაასი, მოგონებანი, ზოგი გადაჭარბებით ტრაბახობდა, ზოგიც ნამდვილ თავგადასავალს მოუთხრობდა მსმენლებს. ბიჭიკოც ყურს უგდებდა მათ. ჯარის უფროსი კი დაფიქრებული დადიოდა წინ და უკან, ეტყობოდა დიდ თათბირში იყო თავის თავთან სამოქმედო გეგმის შესადგენათ.

გაიწყო ვახშამი გაშლილ მინდორზე. შემოდგომის ცივი ღამე ძლიერი ცეცხლის გარშემო აღარავის აწუხებდა ყურშავაც ერთ საქმეში იყო. ის ვერ უთავდებოდა ჯარის-კაცების მიერ გადანაყარ ძვლების ხვრას.

ვახშმის შემდეგ ჯარის კაცებმა დაიწყეს სიმღერა, ცეკვა და სხვა გართობანი.

შუაღამე გადავიდა. ჯარის უფროსმა მიმართა ჯარს:

— ამხანაგებო! საჭიროა განაპირა ადგილების დაზვერვა, მტერი არ წამოგვეპაროს, თორემ ძილის დროს მუსრს გაგვავლებს. კარგი იქნება ეს ადგილები დაიზვერონ, გაიშვირა ჯარის უფროსმა ხელი ქოხის დასავლეთით.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— აბა ვინაა თქვენში ისეთი ყოჩაღი, რომ წავა დასაზვერად, სულ სამი კაცია საჭირო — მიმართა ჯარის უფროსმა ჯარის-კაცებს.

ისევ სიჩუმე და დუმილი... ყველას ეძნელებოდა ღუზლუზა ცეცხლის დატოვება. უცებ წამოვარდა ზეზე ბიჭიკო და მიმართა ჯარის უფროსს.

— მე გამგზავნეთ დასაზვერათ, მე ძალიან მინდა წითელი მხედარი გავხდე!

— შენ ჯერ პატარა ხარ, თოფის ხმარება არც კი იცი ალბათ; როგორ შეიძლება?.

მაგრამ ბიჭიკო არ სცხრებოდა ის ცრემლებით ევედრებოდა უფროსს გაეგზავნა მზვერავად.

ბევრი მუდარის შემდეგ დასთანხმდა ჯარის უფროსი, მით უმეტეს, მას შემდეგ, როცა გაიგო, რომ მან კარგად იცოდა ცხენოსნობაც და თოფის ხმარებაც.

— აბა, ორი კიდევ, რას უყურებთ, არა გრცხვენიათ?—წარბშეკრული მიმართა ჯარის უფროსმა ჯარის კაცებს.

— მეორედ მე წავალ!—წამოიძახა ჭაღარა მხედარმა.

— მესამედ მე!—იყო ხმა.

— მაშ შესხედით ცხენებზე, გასწით ჩქარა. ფრთხილად იყავით, მტერს თავზე არ წაადგეთ და არ დაღუპოთ თქვენივე თავი.

ბიჭიკო სიხარულით ყველაზე ადრე წამოახტა ერთ-ერთი მხედრის ცხენს და ამაყად ჩამოუარბინა ჯარის უფროსს, თითქოს ამით უნდა ენიშნებია მისთვის, რომ ის კარგი მხედარია.

დანარჩენი ორი ჯარის-კაციც მოემზადა და სამნივემ გასწიეს ერთად. ბიჭიკოს აედევნა ძისი ერთგული ყურშავა. ის ენა გამოგდებული მისდევდა ბიჭიკოს ცხენს, ხან კიდევაც უსწრებდა წინ.

მზვერავები განაგრძობდნენ გზას, მათი ბანაკიდან წამოსვლის შემდეგ ერთი საათიც გავიდა. ჯერ ვერაფერი ვერ შეამჩნიეს. ირგვლი სიჩუმე სუფევდა. არც მთვარე და არც ვარსკვლავები არ კიაფობდენ ცაზე. არე-მარეს მკვდრის ფერი ედო.

მზვერავები ძლივს იკვლევდნენ გზას, პირველად მოყვებოდნენ პატარა ბილიკს, შემდეგ ეს ბილიკიც გათავდა. ახლა კი ისინი გზას ასცდნენ.

არ გასულა ათი წუთი, ყურშავამ მორთო წკმუტუნი. მზვერავებმა ძაღლის საშუალებით იგრძნეს საშიშროების მოახლოვება, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ბიჭიკოს სთხოვეს ცხენიდან ჩამომხტარიყო და ფეხით განეგრძოთ გზა, მაგრამ სწორედ ამ დროს ერთად დაიგრიალა თოფის რამდენიმე გასროლამ.

წითელმა მზვერავებმა ცხენები შემოაბრუნეს უკან გამოსაქცევად, მაგრამ დახეთ უბედურებას,—სასიკვდილოდ დაჭრილი ბიჭიკო განართხმულიყო სველ მიწაზე, მის გვერდით ცხენიც მსუბუქად დაჭრილი კანკალებდა.

მზვერავებმა წამოავლეს ხელი მძიმედ დაჭრილ ბიჭიკოს და გამოექანენ თავიანთ ბანაკისაკენ მტრის ურდო გაქცეულებს რამდენიმე თოფის გასროლით გამოეთხოვა. შემდეგ ყველაფერი მიყუჩდა...

მიჭქრიან მზვერავები თავის ნაწილისაკენ და მიყავთ მძიმედ დაჭრილი ბიჭიკო, რომელსაც ღვრად გადმოსდიოდა მარცხენა მკერდიდან სისხლის ნაკადული. ყურშავაც მისდევს მზვერავებს წკმუტუნ-წკმუტუნით. მან უკვე იგრძნო მისი საყვარელი მეგობარის უბედურება.

წითელი მზვერავები მიუახლოვდნენ ქოხს. სადაც თავისი ნაწილი იდგა.

ბიჭიკო თანდათან სისხლიდან იცლებოდა. სისხლის დენა ვერაფერმა ვერ შეაჩერა, ახლა ის არაფერსაც აღარ გრძნობს საწყალი ბავშვი.

მივიდნენ ქოხთან მზვერავები, უფროსი მათ წინ შეეგება, მაგრამ დახეთ საკვირველებას? ბიჭიკო ცოცხალ-მკვდარი მკლავზე უწევს ერთ-ერთ მზვერავს და ისე მოყავს.

— რა დაემართა ყმაწვილს?—შესძახა ჯარის უფროსმა მზვერავებს.

— მტრის ტყვიამ სასიკვდილოდ დასჭრა!

იყო სევდიანი პასუხი მზვერავისა.

ბიჭიკო ჯარის უფროსმა და მის თანაშემწემ ფრთხილად ქოხში შეიყვანეს და ძველ ტახტზე მიაწვინეს. დაუძახეს ჯარის ექიმს ჭრილობის შესახვევად, ისიც მივიდა იმ წუთშივე. ბიჭიკო აღარაფერს გრძნობდა. საერთოხი ჩუმე ისევ ჯარის უფროსმა დაარღვია.

— ჩემი ბრალია, ჩემი... რომ არ გამეშვა, ხომ არ მოუვიდოდა ეს მარცხი!...

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

ყურშავა ტახტს მიუახლოვდა და ბიჭიკოს სასთუმალთან ახლოს დაეყრდნო დამჯდარი წინა ფეხებს. ისიც დაღონებული შეჰყურებდა მომაკვდავ ბავშვს.

დიდი სიჩუმის შემდეგ ბიჭიკო ოდნავად წამოდგა ცალი მხრით და მიუალერსა ძაღლს, რომელიც აღერს კუდის ქიცინით უპასუხებდა.

— როგორ ხარ ბიჭიკო, ხომ უკეთ გრძნობ თავს?! შეეკითხა ჯარის უფროსი, მაგრამ ამ დროს საწყალმა ბავშვმა ერთ ღონიერ სულის მოთქმას გაატანა თავის სიცოცხლე.

— ჰო, მოკვდა საწყალი!.. წამოიძახა გაშეშებულმა ჯარის უფროსმა და მძიმე ბოღმისაგან გარეთ გავიდა ცივ ჰაერზე სულის დასამშვიდებლად.

ყურშავა კი ისევ ბიჭიკოს უსიცოცხლო სხეული უცქეროდა და ახლა იგი უფრო შეწუხებული ყურყულებდა.

მეორე დღეს პატარა ფიცრებიდან შეჭკრეს კუბო ბიჭიკოსათვის ჯარის-კაცებმა. მონახეს ბზისა და ლეკენჩხარის შტოები და მორთეს იგი.

დღის სამი საათი იქნებოდა, როცა ცხენოსანი ჯარი თავისი უფროსით და სამგლოვიარო სიმღერით მიასვენებდნენ ბიჭიკოს გაციებულ ცხედარს.

კუბოს ძუნძულით მისდევდა ყურშავაც, როგორც დამწუხრებული ჭირისუფალი; მუსიკა გრძნობიარეთ უკრავდა, ხოლო ჯარის მწყობრი სამგლოვიარო გალობა მცენარეებსაც კი ცრემლს მოგვრიდა.

უკანასკნელად სიტყვა წარმოსთქვა ჯარის უფროსმა, მან აღნიშნა ბიჭიკოს გმირობა და თავდადება. იგი ურჩევდა ჯარის კაცებს ასეთივე თავდადებას და განწირვას. სიტყვებს მუსიკის გრიალი ფარავდა.

უკანასკნელი ნიჩაბი მიწით გაისროლა ბიჭიკოს სამარისაკენ მოხუცმა ჯარის კაცმა. ყველაფერი გათავდა. თითქოს ყველაფერი ეს სიზმარი იყო. ჯარიც დაეწყო მწკრივებათ და უცდიდა წასასვლელ ბრძანებას.

აი, ეს ბრძანებაც..

უკანასკნელი გამოთხოვება, უკანასკნელი ამბორი.

დარჩა ობლად ბიჭიკოს სამარე, აღარც ჯარის ნაწილი იყო მახლობლად, მაგრამ ის არ დაუტოვებია მის საყვარელ მეგობარს—ყურშავას.

ყურშავა ყოველ ღამობით და დღისით, როცა კი საკვების ძებნას მორჩებოდა ამ ობოლ სამარეს უდარაჯებდა. ის იყო ბიჭიკოს საფლავის პირველი და უკანასკნელი მეგობარი. მაგრამ ყველაფერს სიბერე სტეხს. ყურშავაც გასტეხა კვების ძებნამ...

ერთ წვიმიან და ქარიან დღეს ბიჭიკოს საფლავის გვერდით ეგდო ყურშავას უსულო ლეში. ხოლო მის ლეშს კი აღარავინ უგდებდა ყურს...

**იონა ვაკელი.**

# ქარხნის მუშებს

მშვიდობით ქარხნის მუშებო,
კვლავ გავიჭრები ველათა,
მენანებით, რომ გშორდებით.
დასათმობელნო ძნელათა!

მიყვარხართ მიჩვეული ვარ
თქვენი ჩარხების ტრიალსა,
ის მიტკბობს ყურთა სმენასა
მუსიკათ ვისმენ გრიალსა.

აწ კი გლეხებთან ვიშრომებ
გადავებმები ძმურათა,
ხელი ხელს ჩაკიდებულნი
ერთგულათ მეგობრულათა

იმათთან ერთად დაუმღერ
ჩემს მშობელს, შავსა მიწასა,
გულს გადაუშლებ საყვარლათ
სულ ყველა არსის ძიძასა

ჩვენ საზრდოს გადმოგაწოდებთ
თქვენც მოგვიმზადეთ გუთანი,
ბარი, ცელი და ნამგალი,
თუ ხორცი გინდათ მსუქანი.

ოფლით მოურწყავ ზემო პირს:
დარბილდეს მოსახვნელათა,
მოზვრებს გამოვზრდი ხამ—ხუშებს
გუთანში შესაბმელათა.

პატარა მეხრებს დაუსხავ
ქედი არ წასწვან ხარებსა,
სვენებით წავამუშავებ
უდივრათ განაწამებასა.

მშვიდობით გტოვებ ქარხანავ,
მშვიდობით, შრომის შვილებო,
სულით და გულით თქვენთან ვარ,
ქარ-ცეცხლში გამორწთვილებო.

საქმით შორს, გულით ახლოვარ,
მაინც მეგულვით ჩემათა,
თქვენი ვარ, თქვენთვის ვიმღერებ,
თქვენც დამიგულეთ თქვენათა.

ხელი ხელს ჩაკიდებულსა
ქარხნის და მიწის მუშასა,
რომ გვნახვენ-თავზრუდაესხმით
ჩვენსა მტერსა და დუშმანსა.

მაშ, გაუმარჯოს ჩვენ შრომას,
ჩვენს შეერთებულს ძალასა,
თქვენი ჩარხების გრიალსა,
ჩვენი მიწების ლალასა.

**შაქრო ნავთლუღელი**

# ღალატი

ჩანელდა ცხრაას ხუთი წლის ზღვაებრივი ბრძოლა ხალხისა.

მაგრამ ვინ უწყის ამ ბობოქარ ხანაში რამდენი ლოდია ჩამარხული, რამდენი საიდუმლოება თავგანწირულ მებრძოლისა!..

—

კაკო-ბიჭი სულ ჯეელი იყო. მხოლოდ ოცი წლისა.

მაგრამ განა ეს საკმარისი არ არის, რომ კაცმა დაამტკიცოს უტეხი სახელი მებრძოლისა?

რამდენ ცეცხლში გაუვლია კაკოს—ვინ დაითვალოს!

ეხლა იგი რევოლიუციის ქურაში გამოკვერილი ფოლადია.

ის თვით რევოლიუციის დრო და ჟამია—შეუდრეკელი, უკ.ნ დაუხეველი.

მან გაიარა იშვიათი ოსტატის ხელში.

ეს იყო მისი ძმა გიუნა·

გიუნამ შეაცურა კაკო რევოლ იუციის მშფოთარე ზღვაში.

მან გაათამამა ალგზნებული ბუნება ხალხის სამსახურში.

ეხლა კაკო სალი კლდეა!

არა! მძლევი იერიში!

იერიშზედ უფრო მეტიც! იგი ქარტეხილია ბრძოლის ყოველ გასაჭირში.

და უყვარს კაკოს გიუნა როგორც ძმა,

როგორც უფროსი,

როგორც გამწვრთნელი.

ხალხის შემდეგ—გიუნაა მის სალოცავი,

იმისი ღმერთი…

—

ნაძალადევის ამაყ კალთებზე ბუდობდენ ეს არწივები.

—

მაგრამ რევოლიუციის დიად ტაძარში ბევრი მზაკვარი შეაღებს ხოლმე რკინის კარებს.

ასეთი იყო მუშა დარჩო.

იგი ერთგულად ჩაება თავდადებულთა რაზმში.

„კომიტეტის" წევრიც კი იყო.

ნდობით აღჭურვილი…

მეთაური კაცი·

მუშებში წმიდა საწირავივით შეგროვილი შაურები—ას თუმნად ქცეული—დარჩოს ებარა.

ყველა სიცოცხლით აგებდა პასუხს დარჩოს ერთგულობაზე, მის პატიოსნობაზე.

მაგრამ ინძრა მიწა.

ჩამოვარდა მეხი მებრძოლთა გულში;

და დარჩო მოღალატე გამოდგა.

მან ერთიან გაფლანგა მუშათა სალარო შავი დღისთვის შეგროვილი.

და კიდევ უარესი:

მან ხაფანგში გააბა ორი ამხანაგი, რომელთაც შეეძლოთ დაუყონებლივ ანგარიში მოეთხოვათ.

იგინი მეტეხის საკანში ალამებენ დღეს იარაღ-აყრილის მუჭარით.

დარჩო კი დადის ნებიერად.

დანაშაული თუ ამძიმებს—ვერავინ ხედავს.

ვაჰ, თუ თითონაც უსინათლოა ამ სიმძიმის წინ!

—

მაგრამ ღალატს დიდი ხმა აქვს.

და „ბიჭებმაც" მოჰკრეს ყური.

მაშ დარჩო უფრთხილდი შენ გახრწნილ ლეშს!

უკვე ყორნები მოფრინავენ მძორის საწიწკნად!

—

დარჩო და გიუნა ბავშობიდანვე ხელი-ხელ გადახვეული მეგობრები იყვენ.

ბოლომდისინაც არ ჩამქრალა ეს ცეცხლი მეგობრობისა.

მაგრამ ღალატის შემდეგ?

ნუ თუ მეგობრობა ხალხის ღალატზეც ძლიერი არის?!

ყველა განზედ ჩამოდგეს!

დაე, განსაჯონ იმათ, ვისაც თავგანწირვამდის ჰყვარებია

ხალხიც და,

მეგობარიც!..

—

სალამო ჟამია.

ერთ თავდაბალ სამიკიტნოში სხედან ორნი:

დარჩო და გიუნა.

გიუნა რაღამ გააგიჟა!

რა ესაქმება მოღალატესთან!

იმის სინიდისს ჯერ არც ერთი შავი ხაზი არ გავლებია.

მაშ რისთვისა ზის მოღალატესთან!

რას ეძებს იმის გამურულ გულში!

გიუნა ისევ ბრძოლის შვილია.

დარჩო კი დაშორდა ღალატის ქვითკირით.

და ესე ახლო?

ერთ მაგიდაზე?

ცხოვრება სწრაფია.

აქ კი შეჩერება უნდა, რომ განსჭვრიტოს კაცმა რამე.

ჩვენ არა გვცალია…

ორი მსოფლიო სადღევრძელოსა სვამს პატარა მაგიდაზე წითელის ღვინით.

ამ დროს მთელი სიცოცხლის წინაშე აიხსნა რაღაცა უხილავი ფარდა…

და წინ წარმოსდგა ორი ვაჟკაცი.

ჟრუანტელი.

შიში.

სიკვდილის უფსკრული

ღალატი.

შენანება.

შორს დატოვილნი.

შერცხვენა.

გამომშვიდება საძარადისოდ.:

წამოდგა აჩრდილი დარჩოსი,

უტყვი…

მსხვერპლად გამზადებული…

— მო-ღა-ლა-ტე!

დაიზანზარეს კედლებმა. და აღიმართა შავი რევოლვერი, უზარმაზარი, ქვეყნის დამჩრდილავი…

მაგრამ გიუნა არ დაიბნა,

წამოდგა წამსვე და წინ გადუდგა იმ ორ ღირსეულ შურის მაძიებელთ.

— თუ გინდათ უეჭველად დარჩოს სიკვდილი, ჯერ მე მესროლეთ.

— გიუნა განზე! ხელს ნუ შეგვიშლი!

— ჯერ მე მასროლეთ! ან დაინდევით!

— გიუნა განზე! მაგას სიკვდილი არ ასცდება!

— მე არ გაგიშვებთ! ჯერ მე მომკალით!

— გიუნა დროს ნუ გვაკარგვინებ! შეიძლება პოლიციამ ჩაგვიგდოს ხელში!

— ვერ მოგცემთ ნებას! თუ იმას მოჰკლავთ ჯერ მე მომკალით!

ამ დროს ორის წინ ელვასავით გამოჩნდა კაკო.

— ჩამომეცალე გიუნა იქით! მოღალატეს უნდა მოვუღოთ ბოლო!

— არ მოგეცლები! თუ გინდა მომკალ!

— გიუნა იქით!

— არა მეთქი! დაინდეთ დარჩო! ის ჩემთან არის!

— მაშ შენც მოღალატე ყოფილხარ!

… და გაისმა გულის შემზარავი ჭექა…

გიუნა ჩამოეცალა სამარადისოდ.

გაისმა მეორე ჭექაც…

და აღსრულდა კაცის უმაღლესი სამართალი…

—

ჟრუანტელით შერყეულ სარდაფიდან სულ ბოლოს ამოვიდა კაკო..

უკან დასტოვა რაღაც ძლიერი,

საიდუმლო,

ქვეყნის მკერდზე დაუტეველი…

მიდის მძიმედ.

არ გაურბის საფრთხეს.

არა გრძნობს ქენჯნას სინიდისისას.

და თან მისდევს რაღაც მძიმე…

სიცოცხლე და სიკვდილზე მძიმე…

და თავში უელავს ჟრუანტელი…

არ ასვენებს ანდამატური ზმანება.

ლევ. მეტრეველი.

# ბუნება

ბუნებას ვე რფი მრავალს ფერს
გულთბილად ვემუდარები,
არ დამილრუბლოს სიცოცხლე
მომცეს მხურვალე დარები.

მზის სხივებს მივესალმები,
მთვარესაც ვენაცვალები,
რომ დასცქერს დედა-მიწის გულს
მორცხვათ და თვალ-ბრწყინვალებით

ხან თუ ყვავილობს მიდამო
ხან კიდევ ზამთრის სუსხია,
და თოვლის ქულა გულ უხვად
ბუჩქნარებს წამოუსხია.

მაგრამ გაზაფხულს თმა ხუჭუჭს
გამთბარს მზის ცხოველს სხივებით
ვეხარი მუდამ მოყვასი
გულის საკინძე—მძივებით…

ბუნებას ვეტრფი მრავალ-ფერს
გულთბილად ვემუდარები,
არ დამილრუბლოს სიცოცხლე
მომცეს მხურვალე დარები!.

გ. შინატეხელი.

# ქართული საოპერო მუზა

## პირველი ეტაპები

თანდათანობით ხდება ჩვენს თვალწინ ქართული მუსიკისა, და კერძოთ, ქართული ოპერის განვითარება. ქართული საოპერო შემოქმედების განვითარება მიდის სალი, ნათელი გზით და ამ შემოქმედების ჰორიზონტი ფართოა.

ჯერ კიდევ ახლო წარსულში, დამხობილ ძველი რეჟიმის უკანასკნელ წლების განმავლობაში, ტფილისში იდგმებოდა ოპერები ქართულს ენაზე და ტფილისის საოპერო თეატრის ადმინისტრაცია რამოდინიმედ მაინც იძულებული იყო ანგარიში გაეწია დროის მოთხოვნილებებისათვის.

საოპერო თეატრის სცენაზე სდგამდენ ქართულ ენაზე ოპერებს: „სევილიელ დალაქს“ და „დემონს“. ნამდვილი ეროვნული ოპერა მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა. ზაქარია ფალიაშვილის პირველ ოპერას „აბესალომ და ეთერს“, რომელიც შემდეგ გახდა პირველ ქართულ ეროვნულ ოპერათ, არ შეეძლო მაშინ ენახა დიდი სცენა. ამ ოპერის ესკიზებმა (რომელნიც შემდეგ უფრო დამუშავებულნი და შეცვლილი იყვნენ პირველყოფილ ტექსტთან შედარებით) პირველათ იხილეს რამპის სინათლე ყოფილ ქართულ კლუბის თეატრის სცენაზე; ოპერას ასრულებდენ მაშინ კოლოტოვა (ეთერი) და სარაჯიშვილი (აბესალომი), დანარჩენი პარტიები განაწილებული იყო სცენის მოყვარეთა შორის.

შემთხვევით შემდგარ ორკესტრს დირიჟორობდა თვითონ კომპოზიტორი. ესკიზები კეთილსინდისიერათ იყო შესწავლული და კომპოზიტორის ნაწარმოები აუდიტორიაში კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

მაგრამ შემდეგ „აბესალომ და ეთერი“ გახდა პირველ დიდ ეროვნულ ოპერათ, მისი ღირსება ცნობილ იქნა საოპერო საქმის მცოდნეთა მიერ, მან პოპულიარობა მოიპოვა საზოგადოების ფართო წრეებში და ოთხი წლის არსებობის განმავლობაში ის ასზე მეტჯერ იქნა დადგმული ჩვენ საოპერო სცენაზე რაც არაჩვეულებრივ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს საოპერო ხელოვნების ისტორიაში.

პირველ ოპერის წარმატებამ აღაფრთოვანა კომპოზიტორი და ამ დღეებში ჩვენ მოწამე ვიქნებით მის ახალ ოპერის „დაისი“-ს დადგმის ჩვენს საოპერო თეატრის სცენაზე.

მე შემთხვევა მქონდა გავცნობოდი ოპერის მუსიკალურ შინაარს და გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ოპერა „დაისი“ არის ახალი ძვირფასი განძი ქართულ საოპერო ლიტერატურაში.

ეხლანდელი პირობების წყალობით, სამშობლოში დაბრუნდა მეორე ქართველი კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი და იმ ხანებშივე პირველათ დადგმული იქნა მისი ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

დ. არაყიშვილი ევროპიულათ განათლებული კომპოზიტორია (უმთავრესათ თეორეტიკოსი), მას აქვს მეტათ საინტერესო მუსიკალური პერიოდები. მის „თქმულებაში“ საინტერესოა ჰარმონია, მელოდიური სურათი და მუსიკალური განწყობილება.

ოპერაში არის დამთავრებული საოპერო ფორმები, რომელნიც იტალიანურ სკოლის მიერ არის შემუშავებული, მაგრამ ეს ნაწარმოები უფრო კამერული ხასიათისაა და ის უფრო სასიამოვნო მოსასმენია, როგორც კონცერტი, ვიდრე როგორც ოპერა, რადგან მასში ცოტაა მოქმედება.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ ამ ნაწარმოების ზოგიერთი ნაწილები: მაგალითად, უვერტიურა, მგოსანის სიმღერა და სხვა.

ახალგაზრდა ქართველმა კომპოზიტორმა ბიქტორ დოლიძემ მოკლე დროის განმავლობაში დასწერა სამი ოპერა. ერთი მათგანი „ქეთო და კოტე“ არის პირველი ცდა ქართულ კომიკურ ოპერის სფეროში.

ამ ოპერას ვერ ჩავთვლით ჩვენ საოპერო შემოქმედების დამთავრებულ ნიმუშათ. მასში არ არის დაცული ეროვნული სტილი, არ არის ინდივიდუალობა. ეს ოპერა სასიამოვნო მოსასმენია შინაარსის, მშვენიერ დადგმის და ერთსულოვან ანსამბლის წყალობით.

ბ. დოლიძის მეორე ოპერა „ლეილა“ რამოდენიმეთ პრეტენციოზურია. ნახევრათ ისტორიული სიუჟეტი ჩამოსხმულია მუსიკალურ ილიუსტრაციაში, რომელიც ალაგ-ალაგ საინტერესოა, ზოგიერთ ადგილებში კი დილეტანტური.

ბ. დოლიძეს უეჭველათ აქვს ინსტრუმენტალური ნიჭი, მაგრამ კომპოზიტორი სათანადოთ ვერ არის გაცნობილი შემოქმედების გარეშე მხარეებთან, რომელნიც აუცილებელია იმისათვის, რომ ნაწარმოებს მიეცეს დამთავრებული სახე.

მე ვლაპარაკობ ორკესტროვკასა და ინსტრუმენტოვკაზე ხშირად ავტორს მოუფიქრებია რომელიმე მუსიკალური პრობლემა, მაგრამ ის სათანადოთ ვერ ერკვევა მასში, რომ მოგვცეს დამთავრეარლი მუსიკალური პერიოდი და მუსიკალური აზრი, ამის გამო ნაწარმოებს რამოდენიმეთ დილეტანტური ხასიათი აქვს.

ცნობილია, რომ რესპუბლიკის მთავრობამ დააფასა ბიქტორ დოლიძის დიდი ნიჭი და საშუალება მისცა მას დაამთავროს მუსიკალური განათლება და შორს არ არის ის დრო, როდესაც ბიქტორ დოლიძის კალამი შექმნის უფრო დამთავრებულ ნაწარმოებს, რადგან მისი ნიჭი ეჭვს გარეშეა.

საქართველოში არის კიდევ ერთი კომპოზიტორი—მელიტონ ბალანჩივაძე. სამწუხაროთ, რესპუბლიკის არც მუსიკალური წრეები და მით უმეტეს, არც საზოგადოების ფართო წრეები გაცნობილი არ არიან მის კომპოზიტორულ შემოქმედებასთან.

მე შემთხვევა მქონდა გავცნობოდი კომპოზიტორის ზოგიერთ რომანსებს და ამ ნიმუშების მიხედვით შემიძლია ვსთქვა, რომ ბალანჩივაძის სახით ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას ყავს ერთგული და ნიჭიერი მუშაკი. მ. ბალანჩივაძეს დაწერილი აქვს ოპერა „თამარ ცბიერი“, ველით მის დადგმას.

დიდ იმედებს იძლევა აგრეთვე ახალგაზრდა კომპოზიტორი ლეო ფალიაშვილი; მას აქვს ორი ოპერა: ერთმოქმედებიანი „დედა და შვილი“ და დიდი ოპერა „ვეფხვის ტყაოსანი“. პირველი ოპერა უკვე მოიწონა მუსიკალურმა ბიურომ, მეორე ოპერა ჯერ კიდევ არ არის მიღებული, მაგრამ ის, რასაკვირველია, მიღებული იქნება დასადგმელათ ზოგიერთი შესწორების შემდეგ.

პ. ბებუთოვი.

# ბიბლიოგრაფია

## შალვა დადიანის პიესები.

### ტომი I.

სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა შალვა დადიანის პიესების პირველი ტომი. პირველ ტომში მოთავსებულია ავტორის სურათი ფაქსიმილეთი, ბიოგრაფიით, ავტორისვე წინასიტყვაობა და მამის სურათი.

წიგნი სუფთად და ლამაზათ არის შესრულებული; მას ახლავს ვრცელი კრიტიკული და ბიოგრაფიული წერილი ნ. კურდღელაშვილის-(ნარკანი).

წიგნში მოთავსებულია შემდეგი პიესები: 1 „მღვიმეში“, 2. „როს ნადიმობდენ“, 3. შენი ჭირიმე, 4. „გუშინდელნი“, 5. „ვარამი“, 6. „გეგეჭკორი“, 7. „მოულოდნელი შემთხვევა“.

ეს ყველა ის პიესებია, რომელნიც ჩვენს ქართულ სცენაზე იდგმებოდა და იზიდავდა საზოგადოების ყურადღებას. პიესებს შორის აღსანიშნავია თავისი რთული კომბინაციით და მხატვრობით „მღვიმეში“ და „გეგეჭკორი“.

არა ნაკლებ ყურადღების ღირსია ერთმოქმედებიანი პიესა „როს ნადიმობდენ“ აქ უფრო ნათლად სჩანს ავტორის ბუნებრივი ნიჭი ხელოვნების შესრულების საქმეში.

კარგია პიესა „ვარამი“, როგორც ხალხის გულში ღრმად ჩახედვა და მისი მიუდგომლად გადმოღება. აქ მოცემულია თანამედროვე ადამიანის ვარამი, რომელიც მიმართულია ადამიანური უფლების და თანასწორობის მოპოებისაკენ.

საერთოდ შალვა დადიანის პიესების წიგნად გამოცემა დიდი საჩუქარია ჩვენი საზოგადოებისათვის. წიგნი შეიცავს 394 გვერდს და ღირს 3 მ. და 50 კაპ. ჩერვ.

ი. მ.

# ქრონიკა

## საქართველოში

**ახალი ოპერა.**

19 და 25 დეკემბერს სახელმწიფო ოპერაში დაიდგმება პირველად ახალი ქართული ოპერა: **„დაისი“** ეს ოპერა დაიდგმება ორ დღეს ზედი-ზედ. „დაისი“-ს დადგამს რეჟ. კ მარჯანიშვილი. დირიჟორობს ი. ფალიაშვილი. ბალეტს ხელმძღვანელობს დისკოვსკი. ოპერისათვის დამზადებულია ახალი კოსტიუმები და დეკორაციები მხატვარ სიდომონ ერისთავისა.

**„ქეთო და კოტე“ მოსკოვისათვის.**

კომპოზიტორი ვიქტორ დოლიძე შეუთანხმდა ზიმინის ყ. ოპერის დირექციას „ქეთო და კოტეს“ მოსკოვის ოპერის სცენაზე დადგმის შესახებ.

**პროლეტკულტის სამხატვრო სექტორი.**

დაიწყო და გრძელდება ჩაწერა სტუდიელებისა პროლეტკულტის სომხურ სექტორში მუშაობას იწყებს ორი სტუდია კინო-თეატრალური და ლიტერატურული.

**დრამატიულ სტუდიაში.**

პროლეტკულტის ქართულ დრამატიულმა სტუდიამ დაიწყო მუშაობა და ამზადებს ე. ვერხარნის „რიერაჟს“. რეჟისორ დათიკო კობახიძის ხელმძღვანელობით.

**ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებანი.**

დეკემბრის ბოლო რიცხვებში „საქ“ სახელგამი გამოსცემს ალ. ყაზბეგის თხზულებებს. პირველ ტომში მოთავსებული იქნება ყაზბეგის შესახებ მიძღვნილი კრიტიკული წერილები ვ. კოტეტიშვილისა და კრიტიკული მიმოხილვა გერ. ქიქოძისა.

**ვალერი ბრიუსოვის იუბილე.**

ვალერი ბრიუსოვს შეუსრულდა 50 წელი დაბადებიდან. ვინაიდგან მას დიდი დამსახურება აქვს ლიტერატურაში, რომელსაც საზოგადოება გვერდს ვერ აუხვევს, მოსკოვში შესდგა საიუბილეო კომიტეტი, რომელშიაც შედის დაწესებულებების, მწერლობის და მეცნიერთა წარმომადგენლები. საიუბილეო კომიტეტი აწყობს პოეტის საპატივსაცემლოდ სადღესასწაულო ზეიმს, რომელიც შესდგება 17 დეკემბერს. დიდ თეატრში შესდგება ზეიმის გახსნა სპეციალური პროგრამით.

თბილისშიაც იქნება ამ დოისათვის პოეტის პატივსაცემლად მოწყო... და პერიოდიულ გამო... რილები პოეტის პირ... ბის შესახებ.

რ...

**თეატრალ...**

პეტროგრადის ... დაადგინეს მიილონ ... საერთაშორისო თეა... ფენაში.

**„ტიტანი...**

ცნობილმა რუ... იგორ სევერიანინმა ... ...ილი წიგნი— „ტი...

# კინო

## საქართველოში

**სცენარიების კონკურსი.** საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის კინო-სექციამ გამოაცხადა სცენარიების კონკურსი. სცენარიები უნდა იყოს თანამედროვე რევოლიუციონური ეპოქიდან კონკურსის უკანასკნელი ვადა არის 1924 წ. 28 იანვარი.

**„ყაჩაღი არსენა“.** სახკიმრეწი შეუდგა და ამ ოც დღეში გამოუშვებს კინო-სურათს: „ყაჩაღი არსენა“-ს. მონაწილეობას იღებენ დრამის და ოპერის ცნობილი მსახიობები.

**„დაკარგული საუნჯე“.** მზადდება და ახლო ხანში გამოვა სახკინმრეწის ახალი კინო-სურათი „დაკარგული საუნჯე“. 3 სერიათ. თანამედროვე ცხოვრებიდან. სურათის გადაღებას ხელმძღვანელობს ცნობილი ძალები. დადგმა ა. ნაზაროვისა.

**„ჩვენი ქვეყნის რაინდი“.** კინო რეჟისორს პერესტიანს სახკინმრეწის საზოგადოებისაგან მიენდო „ჩვენი ქვეყნის რაინდი“-ს კინო სურათის გადაღება. როლებს სურათში შეასრულებენ საუკეთესო მსახიობები. სურათის გადაღება დასრულდება ამ მოკლე ხანში.

## საბჭოთა რესპუბლიკებში

**„წითელი ეშმაკუნები“ რუსეთში.** საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის კინო-სექციის მიერ გადაღებულმა სურათმა „წითელი ეშმაკუნები“, მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოსკოვში. კინო კრიტიკა აღფრთოვანებით შეეგება სურათს.

ამ სურათის ჩვენებას მოსკოვის ერთ-ერთ კინო თეატრში დაესწრო სხვათა შორის ბულგარეთის აჯანყების სამოცი მონაწილე. სურათში გადაღებულმა სცენებმა სამოქალაქო ომის პერიოდიდან ისეთი სულიერი განწყობილება შექმნა მაყურებლებში, რომ მთელი თეატრი ანტრაქტის დროს ფეხზე ადგა და ხანგრძლივი ოვაციები გაუმართა ბულგარეთის რეაქციონური მთავრობის ტერორის მსხვერპლთ.

**სომხეთის კინო საზოგადოება.** ერევანში შესდგა სომხეთის სახელმწიფო კინო-მრეწველობის აქციონერთა დამფუძნებელთა კრება.

კინო-საზოგადოებას განზრახული აქვს პირ... ...ოს ეკრანზე ოპერა „ანუშ“.

...ტრები. აზერბაიჯანის ...ლომ აღძრა საკითხი ...ბის მოწყობის შესახებ. ...ახულია დიდძალიანი ...მობილების გამოყენე... ...ები მოეწყობა ყველა ...მოსახლეობა მოკლებუ... ...ერ გასართობს.

...ბეიჯანის სახელმწიფო ...ურათის „შავი სისხლის“ ...„შავი სისხლი“ პირველი ...საწარმოო ფილმების სე... ...უნდა აღიბეჭდოს ნავ... ...ლი მომენტები.

# ლიტერატურა

## საქართველოში

**პროლეტარულ პოეზიის ანტოლოგია.**

პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო ამ ახლო ხანში გამოსცემს პროლეტარულ პოეზიის ანტოლოგიას. წიგნში შევა შემდეგი პოეტები: ს. ეული, ნ. ზომლეთელი, იონა ვაკელი, პეტრე სამსონიძე და სხვები.

**ახალი ჟურნალი.**

12 დეკემბრიდან განახლდა და იწყებს გამოსვლას ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, ჟურნალს რედაქტორობს იოსებ იმედაშვილი. პირველ ნომერში მოთავსებულია წერილები ხელოვნების შესახებ და რამდენიმე ილიუსტრაცია.

**რევოლიუციონური პიესების რეპერტუარი.**

პოლიტგანათლება შეუდგა რევოლიუციონურ რეპერტუარის შედგენას. ჯერ-ჯერობით მიღებულია რამდენიმე პიესა.

## რუსეთში

**ახალი წიგნები.**

გამოვიდა ნ. ბუხარინის წიგნი: „მსოფლიო მეურნეობა და იმპერიალიზმი“. გ. ზინოვიევის „ბოლშევიზმის ისტორია“ ტ. 1-ლი და მეორე. და „ნიკოლოზ მეორეს და ვილჰელმ მეორეს მიწერ მოწერა“, მ. პოკროვსკის წინასიტყვაობით.

**ლიტერატურა და რევოლიუცია.**

დაიბეჭდა და გამოვიდა ლ. ტროცკის წერილების კრებული „ლიტერატურა და რევოლიუცია“.

## უცხოეთში

**რენე მარანის ახალი წიგნი.**

ცნობილმა ზანგმა მწერალმა, „ბატუალა“-ს ავტორმა რენე მარანმა გამოსცა სტანსების კრებული „დამშვიდებული სახე“. ეს წიგნი ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ რ. მარანის ნიჭი უმთავრესად ლირიკული ხასიათის არის.

**„თეთრი ღმერთები“.**

გამოვიდა ედუარდ შტუკკენის „თეთრი ღმერთების“ მეოთხე და უკანასკნელი ტომი. „თეთრი ღმერთები“ არის გრანდიოზული კულტურულ ისტორიული რომანი მექსიკის დაპყრობის ეპოქიდან. რომანში მხატვრულად არის გადმოცემული ძველი მექსიკის გამქრალი ცივილიზაციის თავისებური სილამაზე და მისი ტრაღიკული შეჯახება მისთვის უცხო, ესპანელ ავანტიურისტების ძალასთან.

**პერ მილის რომანი.**

პერ მილის 15 წლის წინადაც იცნობდენ რუსეთში. მისი რომანი მხოლოდ 1919 წელს გამოვიდა საფრანგეთში-ცენზურის აკრძალვის გამო. რომანში დახასიათებულია მოლიერის „ძუნწი“-ს გმირ გარპაგონის მზგავსი ტიპი, რომელიც ისტორიულად მოწოდებულია დაღუპვისათვის. ეს გმირი ამჟღავნებს თანამედროვე ბურჟუაზიის თვისებებს, რისთვისაც რომანს აღუდგა წინ ცენზურა.